საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 243 (522) პარასკევი, 27 ნოემბერი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

წუხელ შეიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

25 ნოემბერს აფხაზეთის მხარე სოფელ ზემო ეშერის მიდამოებში, მდინარე გუმისთის საავტომობილო ხიდთან, იქ, სადაც 24 ნოემბერს დაიღუპა ხალხი, კვლავ განაგრძობდა საინჟინრო-თავდაცვითი სამუშაოებს.

24 ნოემბერს მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევებთან დაკავშირებით, ქართველი სამხედროები რუსი მეთვალყურეების საშუალებით დაუკავშირდნენ აფხაზებს და შესთავაზეს შეხვედრა, რომელიც გუმისთის ხიდზე გაიმართა. შეხვედრაზე ქართველთა მხარემ პროტესტი განაცხადა თავდაცვით სამუშაოებზე ქართველი მოსახლეობის გამოყენებისა და დახვრეტის თაობაზე და მოითხოვა დაღუპულთა გვამების გადმოცემა.

აფხაზებმა განაცხადეს, რომ მათ არავინ მოუყვანიათ სამუშაოდ, არც არავინ დაუხვრეტიათ და ყოველგვარ სამუშაოს თვითონ ასრულებდნენ. მათი თქმით, 24 ნოემბერს გაუფრთხილებლობის გამო ნაღმზე აფეთქდა ორი მათი მებრძოლი, რასაც მოჰყვა ორმხრივი სროლა. ნათქვამის შესამოწმებლად აფხაზებმა თავიანთ პოზიციებზე მოიწვიეს მთავარი შტაბის პრესცენტრის ოფიცერი გიორგი პოპიაშვილი. მოწინააღმდეგის განლაგებაში გადასულ ჩვენს წარმომადგენლებს აფხაზმა ხელმძღვანელობამ თავისი სიმართლის დასადასტურებლად უახლოეს დღეებში გუდაუთაში წაყვანა შესთავაზა, სადაც მას შეახვედრებდნენ საავადმყოფოში მწოლიარე ნაღმზე აფეთქებულ აფხაზ მებრძოლებს.

შეკითხვაზე, თუ რატომ ითხოვდნენ ადამიანები შველას ქართულ ენაზე და რატომ სცადეს ქართული პოზიციებისკენ გამოქცევა, აფხაზებმა განაცხადეს, რომ ასეთი რამ არ მომხდარა, თუმცა იმ დღეს საბრძოლო პოზიციებზე მყოფი ჩვენი მებრძოლების ნაამბობი სრულიად საწინააღმდეგოს მეტყველებს.

ქართული მხარე იმედოვნებს, რომ მათი წარმომადგენლის შესაძლო ჩასვლა გუდაუთაში ნათელს მოჰფენს 24 ნოემბრის ტრაგიკულ შემთხვევას.

* * *

25 ნოემბერს სოხუმის რაიონის საბრძოლო მოქმედების ველის ზონაში შეიმჩნეოდა მოწინააღმდეგის ძალების გადაჯგუფება. შრომა-ახალშენის მიდამოებს აფხაზები ზვერავდნენ დელტაპლანის საშუალებით. მდინარე გუმისთის რკინიგზის ხიდის მიდამოებში ხდებოდა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის კონცენტრაცია. ზღვის სანაპირო ზოლთან მოწინააღმდეგემ საბრძოლო პოზიციებზე გამოიყვანა ქვეითთა მძიმე მანქანა, მაგრამ ქართული მხარის მიერ რუსი დამკვირვებლებისადმი წარდგენილი პროტესტის შემდეგ, უკანვე გაიყვანეს.

* * *

ოჩამჩირის რაიონში მოხდა შეტაკებები ოჩამჩირე-კოჩორისა და ოჩამჩირე-ბედია-ტყვარჩელის მიმართულებით. დაუზუსტებელი მონაცემებით, არის ორმხრივი მსხვერპლი.

იოსებ გოგეჩია.

ამ დღეებში

გვაცნობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი — მოვლენა — კომენტარი

აფხაზეთი კვლავ ყურადღების ცენტრშია

საქართველოს პარლამენტის სხდომის დღიური



26 ნოემბერს გამართულ საქართველოს პარლამენტის სხდომაზე პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ განაცხადა, რომ პარლამენტარების მოთხოვნით კიდევ ერთხელ განიხილავენ აფხაზეთის ამბებს. ამასთან დაკავშირებით სხდომის მონაწილეთა აზრი ერთგვაროვანი არ იყო: ერთნი მოითხოვდნენ ეს საკითხი დახურულ სხდომაზე განხილულიყო, მეორენი კი ღია სხდომის მომხრენი იყვნენ. კენჭისყრით გადაწყდა, რომ სხდომა პრესის წარმომადგენლების დაუსწრებლად გამართულიყო.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტებმა მოვლენებს დაასწრეს, ისარგებლეს შემთხვევით, რომ დარბაზში იმყოფებოდა აფხაზეთიდან ამ დღეებში დაბრუნებული სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა, რომლის ინფორმაციასაც მოისმენდნენ პარლამენტარები, და სთხოვეს მას მოკლედ მოეთხრო აფხაზეთის ამბები.

— საერთო სიტუაციას აფხაზეთში ორი მიმართულება აქვს — სამხედრო და პოლიტიკური, — თქვა ბატონმა გიორგიმ. — დახასიათებაც ასეთი უნდა იყოს. სამხედრო ვითარების გამო შემიძლია ვთქვა, რომ მხარეთა შეთანხმებით საომარი მოქმედება ამჟამად შეჩერებულია. ეს გამოწვეულია იმ აუცილებლობით, რომ უზრუნველყოფილი იყოს აფხაზეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანა, რათა ამ პროცესს რაიმე ექსცესები არ მოჰყვეს. მით უმეტეს, რომ ჩვენი ურთიერთობა იქ მყოფ რუსეთის სამხედრო ნაწილებთან საკმაოდ დაძაბულია. შეთანხმება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ არ ეხება ტყვარჩელის მიმართულებას, სადაც სისტემატურად მიმდინარეობს ბრძოლები. ამ რეგიონში ინიციატივა ქართველთა ხელშია. ვფიქრობ, ზოგიერთი ორგანიზაციული ღონისძიების განხორციელებით აქ სერიოზული წარმატების მიღწევა შეიძლება. ეს, რა თქმა უნდა, დიდ გავლენას მოახდენს საერთო სამხედრო ვითარებაზე.

რაც შეეხება პოლიტიკურ ვითარებას, იგი კვლავინდებურად ერთობ გართულებულია. საქმე ის არის, რომ, სამწუხაროდ, ორივე მხარეს — აფხაზებსაც და ქართველებსაც ჰყავთ ისეთი ძალები, რომლებიც უარყოფენ ამ ტერიტორიაზე ორი ხალხის თანაარსებობის შემდგომ შესაძლებლობას და ფიქრობენ, რომ პრობლემა იარაღით უნდა მოგვარდეს. თუ ამ ძალების თანაფარდობას შევაფასებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ აფხაზთა შორის ეს აზრი დომინირებს. აღსანიშნავია, რომ გუდაუთაში მყოფ აფხაზთა ლიდერებს შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც არ მოსწონთ არძინბას პოლიტიკური კურსი, მაგრამ ხმას ვერ იმაღლებენ და იძულებული არიან გაჰყვნენ მის ექსტრემისტულ კურსს. რაც შეეხება თავად არძინბას, იგი უკვე 24 დღეა მოსკოვშია. როგორც ჩანს, მას ნაკლებად ადარდებს თავის თანამემამულეთა ბედი — აფხაზეთში ომია, ხალხი იხოცება, ნადგურდება ერის გენოფონდი, ის კი...

ქართველთა მხარეზე, ჩვენდა საბედნიეროდ, საღი აზრი ჭარბობს — თანაარსებობა ხომ ადამიანებისათვის ღვთით ბოძებული უნარია, ომები ყოველთვის მშვიდობით მთავრდებოდა და ადამიანები პოულობდნენ მშვიდობიანი თანაარსებობის ძალას. რა თქმა უნდა, ამ ომში ბევრი დანაშაული მოხდა, განსაკუთრებით გაგრაში და აქ მოწყობილი გენოციდი არავის არ უნდა ვაპატიოთ. და ასეც იქნება. ჩვენი პოზიცია ასეთია: დამნაშავეები უნდა დაისაჯონ, ისინი კი, ვინც არ გაჰყვა არძინბას ავანტურისტულ კურსს, მომავალშიც ჩვენს გვერდით იცხოვრებენ. სოხუმსა და სხვა რაიონებში მცხოვრებ აფხაზებთან შეხვედრებმა დამაჯერა, რომ დავძლევთ ამ დაპირისპირებას.

ორიოდე სიტყვა რუსეთის ჯარის შესახებ. მისი ცალკეული წარმომადგენლები ყოველნაირად ცდილობენ აამღვრიონ წყალი და ამას, დარწმუნებული ვარ, უმეტესად ანგარებით სჩადიან.

ჩვენ დადებითად აღვიქვით გენერალ-ლეიტენანტ ანატოლი კამკამიძის დანიშვნა რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის პოსტზე. ეს დაგვეხმარება ნაწილობრივ მაინც მოვხსნათ პროფესიონალიზმის დეფიციტის პრობლემა ჩვენს შეიარაღებულ ძალებში. პროფესიონალიზმი ყველგან საჭიროა, მაგრამ ჯარში მას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს ადამიანების სიცოცხლეს, სამშობლოს უშიშროებას ეხება. სწორედ ამ პროფესიონალიზმის ნაკლებობამ განაპირობა გარკვეულწილად ჩვენი დანაკარგები ამ ომში. აქ ჩვენი საუბარი გიორგი ხაინდრავასთან შეწყდა. ბატონი გიორგი სხდომაზე გამოსასვლელად ემზადებოდა...

პარლამენტის სხდომაზე საპარლამენტო ფრაქციამ „ქარტია-91“-მა შემოიტანა წინადადება, რომ შეიქმნას დროებითი საპარლამენტო კომისია. მას დაევალება შეისწავლოს პარლამენტისა და მთავრობის წევრთა უცხოეთის საიდუმლო სამსახურებთან ურთიერთობა. სახელობითი კენჭისყრის შედეგად ეს კომისია შეიქმნა.

შესვენების შემდეგ დახურულ სხდომაზე პარლამენტი შეუდგა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვას, მათ შორის აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებისადმი მიძღვნილი ინფორმაციის მოსმენას.

სურათებზე: სხდომათა დარბაზში; სხდომათა დარბაზში წინა პლანზეა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი; მიკროფონთანაა ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე თენგიზ გაზდელიანი.

იოსებ დავითაშვილისა და ვანო შამანიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

აქტუალური ინტერვიუ

რამაც ფეხზე უნდა დაგვაყენოს

ღვინო: საზრდო მატერიალურიც და სულიერიც

რუბრიკით „რამაც ფეხზე უნდა დაგვაყენოს“ მკითხველი უკვე გაეცნო თამბაქოსა და ჩაის მრეწველობის პრობლემატიკას და მიღწევებს, სამომავლო ამოცანებს. დღეს ღვინის მრეწველობის ჯერია. გვესაუბრება ამ დარგის ხელმძღვანელი, ღვინის მრეწველობის რესპუბლიკური გაერთიანება „სამტრესტის“ უფროსი **თამაზ კანდელაკი.**

— ბატონო თამაზ, საქართველოში ოდითგანვე ლოგინმიწოლილს თუ ნახავდნენ, ღვინოს შეასმევდნენ — მოსულიერდებაო. იქნებ ჩვენს დავრდომილ ეკონომიკასაც ფეხზე წამოყენებაში ყველაზე მეტად ღვინო შეეშველოს?

— დიახ, ჩვენს ეკონომიკას დღეს მართლაც სჭირდება მოსულიერება და მეღვინეობა სწორედ ის დარგია, რომელიც ქართველ კაცს მატერიალურთან ერთად სულიერ საზრდოსაც აძლევდა, მარად და ყველგან მისი სულიერების საგზალიც იყო. დღეს არავინ იცის, რომელი ადრე მოვიდა ჩვენს კურთხეულ მიწაზე — ვაზი თუ ქართველი. ერთი კი ცხადია, მათ ორივემ ერთად ხმალდახმალ იბრძოლეს საქართველოს, მისი უძველესი კულტურის გადარჩენისთვის. ათასჯერ მართალი იყო ცხონებული ნიკო კეცხოველი, როცა ამბობდა: ვაზი საქართველოში ისეთივე კულტურის ძეგლია, როგორც სვეტიცხოველი და ნიკორწმინდაო. ალბათ ამიტომაც ვაზის სიყვარული ქვეცნობიერად ზის ყველა ქართველში — ერთ მტკაველ მიწას ნახავს თუ არა, ვაზსა რგავს, ქალაქშიც მრავალსართულიან სახლზე აჰყავს, შვილივით ზრდის, ელოლიავება, რადგან მასში სიცოცხლის ხეს, ქართული გენის გამგრძელებელს ხედავს.

— ასე რომ, შეიძლება ითქვას, ვაზი ქართული გენოფონდის თვალმარგალიტია. ამბობენ, დღეს საქართველოში ვაზის 500-მდე ჯიშია გავრცელებული. მართალია?

— მართალია, მაგრამ მათი უდიდესი უმრავლესობა „სამუზეუმო“ კოლექციებსღა შემორჩა, დღეს მათგან მხოლოდ 20-მდე ჯიში გამოიყენება სამრეწველო მეღვინეობისთვის. უფრო მეტს ვიტყვი, ამჟამად მთელი ჩვენი მეღვინეობა რაღაც 4-5 ჯიშის ანაბარად არის დარჩენილი. აი, კახეთში, მევენახეობის ამ უპირველეს კუთხეში, მაგალითად, რქაწითელს ზვრების 95 პროცენტი უჭირავს. გადაშენების პირამდეა მისული ისეთი უძველესი ძვირფასი ჯიშები, როგორიცაა მწვანე (ვენახების საერთო ფართობის 0,8 პროცენტი), ხიხვი (0,01), გორული მწვანე (1,1), ალექსანდროული (0,21), ოჯალეში (0,3), საფერავი (2,1), ალადასტური (0,02), უსახელოური (0,02) და სხვები, რომლებზეც ქართული მეღვინეობის დიდება იყო დაფუძნებული.

შეიქმნა ეროვნული მეღვინეობის მრავალფეროვანი კოლორიტისთვის მეტად არასახარბიელო სიტუაცია — საქვეყნოდ ცნობილი თეთრი სამარკო და საერო მშრალი ღვინოების მთელი სპექტრი მხოლოდ რქაწითელს დააწვა. ნედლეულის უქონლობის გამო კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ისეთი ღვინოების წარმოება, როგორიც არის „ხვანჭკარა“, „ოჯალეში“, „თეთრა“, „ტვიში“, „ჩხავერი“ და სხვები, რომლებისადმიც საერთაშორისო ბაზარი ძალზე დიდ ინტერესს იჩენს.

ანალოგიური სურათია შამპანური ღვინომასალის წარმოების ზონაშიც — ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონებში, სადაც საშამპანურე ვენახების საერთო ფართობის 60 პროცენტზე მეტი მხოლოდ ციცქაზე მოდის.

— რა ვქნათ, ბატონო თამაზ, როგორ მოვიქცეთ, რქაწითელსა და ციცქას ზურგი ხომ არ შევაქციოთ?

— რა საკადრისია. არავინ იფიქროს ამ ჯიშების წინააღმდეგი ვიყო. მთელ მსოფლიოში უნიკალური ჯიშია რქაწითელი, რომელსაც საზღვარგარეთ „გიგანტი“ შეარქვეს. ამას იმსახურებს კიდეც. მსოფლიოში თითქმის არ არსებობს ისეთი ტიპის ღვინო, რომლის რქაწითლისგან დამზადება არ შეიძლებოდეს. ამიტომაც გავრცელდა ფართოდ ევროპაში და შორეულ კალიფორნიაშიც კი, სადაც ამ სახელწოდებით ღვინოც კი გამოდის.

მე სულ სხვა რამ მინდოდა მეთქვა, კერძოდ ის, რომ რქაწითელთან და ციცქასთან ერთად კვლავ და კვლავ უნდა მოვაშენოთ საფერავის, მწვანის, ხიხვის, თეთრას, ჩხავერისა და სხვა უნიკალური ეროვნული ჯიშები. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს ევროპული ჯიშების — პინოს, კაბერნეს, ალიგოტეს, რისლინგის მომრავლებაც. თუ გვინდა შევქმნათ მრავალფეროვანი, მსოფლიო სტანდარტების შესაფერისი ღვინოები, მხოლოდ ამ გზას უნდა გავყვეთ.

— მახსოვს, ერთ დროს კახეთში ალაზნისპირა ზვრები რქაწითელთან ერთად საფერავითა და მწვანით იყო დახუნძლული. ვერ გამიგია, შემდეგ რა მოხდა?

— მოხდა ის, რამაც საერთოდ დააქცია ჩვენი ეკონომიკა და არც ღვინის მრეწველობას დააყარა ხეირი. კარგად მოგეხსენებათ, სოციალიზმის „საერთო კეთილდღეობის“ წლებში ყველაფერი იზომებოდა მოსავლის რაოდენობით, სარეკორდო გეგმების შესრულებით და არა პროდუქციის ხარისხით. მეზვრეც, რომლის ნაყოფიერება და ანაზღაურება მოწეული კილოგრამებით განისაზღვრება, ბუნებრივია, უხვმოსავლიანი ჯიშის — რქაწითელის მოშენებას ამჯობინებდა. ეს წლეულს გაიზარდა ყურძნის შესასყიდი ფასი, თორემ ხომ ფაქტია, წლების მანძილზე მევენახე მასში ტყემლის საფასურსაც ვერ იღებდა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ შედარებით უხვმოსავლიანი რქაწითელი არჩია და საფერავსა და მწვანეზე გული აიყარა?

— როგორ ფიქრობთ, რა შემოაბრუნებს ამ საქმეს ქვეყნის სასიკეთოდ?

— ვაზის სიყვარული, მაღალი პროფესიონალიზმი, დიდი დაინტერესება. გლეხმა უნდა შეიცვალოს დამოკიდებულება მიწისა და ვაზისადმი. და ეს უნდა ქნას პრივატიზაციამ, მიწების კერძო მფლობელობაში გადაცემამ, რაც ამჟამად სოფლად უკვე მიმდინარეობს. მე პირადად ამ საკითხზე არაერთ გლეხთან მისაუბრია. მათ ეშინიათ მიწის აღებისა, რადგან არა აქვთ ტექნიკა, ინვენტარი, შხამქიმიკატები, საწვავი. უამისოდ კი ფიქრობენ, რომ ვერ შეძლებენ ზვრების დამუშავებას, ვერ მოიწევენ მოსავალს.

— წლეულს ბევრმა ეს უკვე იწვნია კიდეც. თუ დროზე არ დავეხმარეთ, ადვილი მოსალოდნელია მეზვრემ ვენახი აჩეხოს და უფრო სარფიანი კულტურა გააშენოს.

— მეც მანდა ვარ. თუ სახელმწიფო, ღვინის მრეწველობის მუშაკები გლეხობასთან ახლოს არ მივედით, მათი სატკივარი და პრობლემები არ გავიზიარეთ, შესაძლებელია საქართველოში ვენახი დავკარგოთ კიდეც. ეს რომ არ მოხდეს, ღვინის მრეწველობამ უნდა იზრუნოს და გლეხობას შეუქმნას შრომის პირობები, შეიძინოს და მიაწოდოს მას ტექნიკა, ინვენტარი, საწვავი, შხამქიმიკატები. თავის მხრივ ყურძნის მწარმოებელმა უნდა იკისროს ვალდებულება, რომ ვენახში გააშენებს იმ ჯიშის ვაზს, რომელსაც მრეწველობა შეუკვეთავს. ღვინის ქარხნებსა და მეზვრეთა შორის უნდა გაფორმდეს კონტრაქტები, რომელთა შესრულებას ორივე მხარე სიყვარულითა და გულისხმიერებით მოეკიდება.

თუ იქნება ასეთი კონტრაქტები, იქნება იმის გარანტიაც, რომ შემკვეთი გლეხს ყურძენში გადაუხდის არა სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფასს (ასეთი აღარ იქნება), არამედ რეალურ და ხელსაყრელ ღირებულებას. ამას გარდა, გლეხს ექნება წილი იმ მოგებიდანაც, რომელსაც ღვინის ქარხანა ჩაბარებული ყურძნის გადამუშავებით მიიღებს. თუ ამ პირობას დავიცავთ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იქნება ყურძნის ხარისხიც და მისი მრავალფეროვანი ასორტიმენტიც. არც გლეხი დარჩება გულნატკენი, წარმოება კარგ ანაზღაურებასთან ერთად სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვისაც იზრუნებს.

— კეთილი, მაგრამ კერძო მფლობელი შეძლებს ამოდენა ზვრების (ჩვენ ხომ მას წინასწარ დაგეგმილი ხუთწლედების მიხედვით ყოველწლიურად ვაფართოებდით) მოვლა-პატრონობას?

— რასაც შევძლებთ, იმდენი ვენახი უნდა ვიქონიოთ. ახლა ხომ დამოუკიდებლები ვართ და აღარც „ცენტრი“ გვიკარნახებს თავის ნება-სურვილს, რომელსაც ჩვენი ღვინოები ჩალის ფასად გაჰქონდა ბაზარზე. მაშინ ყურძნის მოსავალს ვენახების ფართობის მატების ხარჯზე ვზრდიდით, რაც სწორი არ იყო. დღეს ეს ფართობი (115 ათასი ჰექტარი) მნიშვნელოვნად უნდა შევამციროთ (ეს ჩემი საკუთარი აზრია) და სამაგიეროდ მოსავლიანობა გავზარდოთ იმ ანგარიშით, რომ წელიწადში საშუალოდ 500-600 ათასი ტონა ყურძენი გადავამუშავოთ, რაც სრულიად რეალურია. ამით საკუთარი ღვინო სამყოფი გვექნება შინაც და საზღვარგარეთის ბაზარზე გასატანადაც. თუ ამ გზით ვივლით, მევენახეობას ოპტიმალურ ფარგლებში განვავითარებთ, რქაწითელთან ერთად სხვა ჯიშებსაც მოვამრავლებთ, ყურძენიც საუკეთესო გვექნება და ღვინოც.

— საამისოდ ღვინის მრეწველობას, რა თქმა უნდა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც შესაფერისი უნდა ჰქონდეს. ამ მხრივ ჩვენში როგორი სურათია?

— არცთუ სახარბიელო. მართალია, ღვინის მრეწველობას სიმძლავრეები საკმარისი აქვს, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს მაღალხარისხოვანი, საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას. პირველადი მეღვინეობაში ჭურჭლის 60 პროცენტი შავი ლითონისაა, რომლის შიდა ზედაპირი მესამე წელია დამცავი ფენით არ დაფარულა (სპეციალური საღებავის უქონლობის გამო). ეს იწვევს ღვინის რკინით გამდიდრებას და ხარისხის გაუარესებას.

ძნელია ღვინის დაყენების მაღალ ტექნოლოგიაზე ლაპარაკი, როცა საწარმოებში ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი ყურძნის გადამამუშავებელი და ღვინის ჩამოსასხმელი ხაზები აქვთ, თანაც სათადარიგო ნაწილები აკლიათ. გასაგები მიზეზების გამო ძალიან შემცირდა როგორც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, ისე საზღვარგარეთიდან ავტომატური ხაზებისა და დანადგარების შემოტანა.

გამოსავალი ერთია. საფუძვლიანად უნდა გარდაიქმნას და განვითარდეს სისტემის სარემონტო-მექანიკური ქარხნების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მიზანშეწონილია შემუშავდეს რესპუბლიკაში განლაგებული კვების მრეწველობის მანქანათსაშენებელი ქარხნების პროფილის შეცვლის პროგრამა.

არის სხვა საკითხებიც, რომლებიც დაუყოვნებლივ მოითხოვენ გადაჭრას. კარგი იქნება, მაგალითად, რუსთავის მომინანქრებული რეზერვუარების ქარხანამ ჩვენთვის გამოუშვას 50 კუბური მეტრი ტევადობის რეზერვუარები, რისთვისაც საჭიროა აიგოს ახალი ღუმელი. ჰაერივით გვჭირდება მუხის კასრები და ამ დროს გურჯაანში მისი დამამზადებელი საამქრო, სადაც დამონტაჟებულია თანამედროვე გერმანული წარმოების ხაზი, ტყის უქონლობის გამო გაჩერებულია. არადა, მუხის კასრებზე მოთხოვნილება დიდია როგორც რესპუბლიკაში, ისე საზღვარგარეთ.

— ღვინის კასრები ერთია, მაგრამ, აბა, ნახეთ, როგორ ბოთლებში ისხმება ჩვენი თავანკარა „წინანდალი“ და „ოჯალეში“, სურნელოვანი „ენისელი“ და „თბილისი“?

— მართალი ბრძანდებით, ჩვენი ღვინოები და კონიაკები მსოფლიო სტანდარტების დონეზეა, მაგრამ გაფორმება, დიზაინი, ეტიკეტები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. წარმოიდგინეთ, მრავალი ათეული წლის მანძილზე მთელ

(დასასრული მე-2 გვ.).

ნომერში

◎ სამი კითხვა დარგის ახლადარჩეულ ხელმძღვანელს. 2
◎ ჩემი შენ გითხარიო, ანუ გროზნოდან გამოგზავნილი წერილის პასუხი. 3

ულოცავენ სახელმწიფოს მეთაურს

მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს

მეგობარი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე თქვენი არჩევის გამო პირადად ჩემი და ლიბიის დიდი სოციალისტური სახალხო არაბული ჯამაჰირიის სახელით უდიდესი სიამოვნებით და გულწრფელად გილოცავთ და გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, მეგობარ ქართველ ხალხს კი პროგრესსა და აყვავებას.

პოლკოვნიკი **მოამარ კადაფი,**
დიდი სექტემბრის რევოლუციის ხელმძღვანელი.

საუბარი სახელმწიფოს მეთაურთან

26 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან არსებული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „ინტერნეიშნლ ელერტის“ („საერთაშორისო განგაში“) დელეგაცია, რომელშიც შედიან გაეროს ყოფილი უმაღლესი კომისარი ლტოლვილთა საკითხებში აბდერაზაკ ესაიდი, ამ ორგანიზაციის კონსულტანტი — ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე პოლ ჰენზი, რომელიც ბჟეზინსკის მოადგილე იყო ჯიმი კარტერის ადმინისტრაციის დროს, ენდერს უიმბუში — ამ ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი, სტეფან ხალიფანი — რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის პროგრამების ხელმძღვანელი.

ამ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის შტაბბინა ლონდონშია, გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს დამოუკიდებელი გამოკვლევა საქართველოში ეთნიკურ ურთიერთობათა დღევანდელი ვითარების შესახებ. სტუმრებს განსაკუთრებით აფხაზეთი აინტერესებდათ. ამიტომ საუბარი იქ მიმდინარე მოვლენებს შეეხო. სტუმრებმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს მათთვის საინტერესო საკითხებზე. თბილისიდან ისინი სოხუმსა და გუდაუთაში ჩავლენ, რომ ადგილზე შეისწავლონ შექმნილი მდგომარეობა.

საქართველოს პარლამენტის პრესცენტრი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
ევროპის გაერთიანების კრედიტების ათვისების მდგომარეობის შემსწავლელი ჯგუფის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან შეიქმნას ევროპის გაერთიანების კრედიტების ათვისების მდგომარეობის შემსწავლელი ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

პეტრე მამრაძე — კოორდინატორი — საქართველოს მწვანეთა პარტია.
ვახტანგ ძაბირაძე — ბლოკი „11 ოქტომბერი“.
პაატა ხაჭაპურიძე — დემოკრატიული პარტია.
ზურაბ ანდრიაძე — ბლოკი „ერთობა“.
გელა კოზერიძე — „ქარტია 91“.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 25 ნოემბერი.

მიმართვა აფხაზი ხალხისადმი

აფხაზეთში, დღევანდელ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სიტუაციასთან დაკავშირებით, საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთის“ დეპუტატების ჯგუფმა მიზანშეწონილად ჩათვალა გამოექვეყნებინა შემდეგი მიმართვა აფხაზი ხალხისადმი:

ნაღდი მზრუნველი მეგობრობა გამოუჩენია ქართველ ხალხს აფხაზების, ოსებისა და საქართველოში მცხოვრები სხვა მცირერიცხოვანი ხალხებისადმი. ამის დამადასტურებელი მაგალითები უხვადაა ისტორიაში. ამიტომ იყო საქართველო კავკასიის ხალხთა გამაერთიანებელი, მისი თავისუფლების საყრდენი, სიცოცხლის არსებობის — მიწის უანგაროდ დამრიგებელი მათთვის.

მაშ რამ მიგვიყვანა ამ ბოლო წლებში დატრიალებულ ტრაგედიამდე? აქ ერთადერთი პასუხია: იმპერიული ძალების ნაცადმა მეთოდმა — დათიშე და იბატონე. ბრძენ კავკასიელს უთქვამს: კავკასიის თავისუფლების მზე ჩაესვენა, როცა საქართველომ თავისუფლება დაკარგა. მაშ, რაღა გვებრძვით ამ მზის ამოსვლას? ვინც ამას სჩადის, საკუთარი თავისუფლების წინააღმდეგ იბრძვის. აფხაზეთის საინფორმაციო საშუალებები ხშირად გადასცემენ ისეთ მონაჭორებს, თითქოს ქართველებს სწადიათ აფხაზთა გენოციდი. ვინც ამას ავრცელებს, ის კვლავ მტრობას თესავს ამ ორ ხალხს შორის.

ეს ისინი არიან, ვინც გაგრაში ქართველებს გენოციდი მოუწყო, გუდაუთის ქართველობა მუდმივი შიშის ქვეშ სასოწარკვეთილებამდე ჰყავს მიყვანილი. ჩვენ ვიცავდით და კვლავაც დავიცავთ აფხაზეთის სახელმწიფოებრიობას საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში, ხოლო ეროვნული შუღლის გაღვივებლებმა საერთაშორისო სამართლის მუხლებით პასუხი უნდა აგონ.

იმისათვის, რომ გადავარჩინოთ ათასობით უცოდველი ახალგაზრდა, ძალაუნებურად ომში რომაა ჩაბმული, საჭიროა სახალხო თანხმობა საქართველოს სახელმწიფოს ერთიანი ტერიტორიის მთლიანობის შეუვალობისა და საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტრუქტურების გარანტიების დადგენის საფუძველზე.

წინაპართა ანდერძისამებრ, ერთმანეთისაკენ უნდა მოვიხედოთ, მათთვის ჩვეული სიბრძნისამებრ გადავწყვიტოთ იმპერიის მიერ ჩვენს ურთიერთობაში შექმნილი ძველი პრობლემა. მათი მოგვარებისას დავეყრდნოთ რუსეთის დემოკრატიულ ძალებს, გვახსოვდეს, რომ რუსეთის დემოკრატია დიდი ძალაა.

დრო არ ითმენს, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. ადამიანები შველას ითხოვენ, ამიტომ მმართველობის აპარატი, მინისტრთა საბჭო დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ ფუნქციონირებას, ხოლო საკანონმდებლო ორგანომ გამონახოს ფორმა ხელისუფლების ამოქმედებისათვის აფხაზეთში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით.

მოვუწოდებთ აფხაზ ხალხს, რომლისადმიც ყოველთვის კეთილად ვიყავით განწყობილი, არ აჰყვეს ანტიქართულ მოწოდებებს, უარყოს საქართველოსაგან განდგომის მოსურნეთა ქადაგებები, შემოუერთდეს სახალხო თანხმობის იდეას. საქართველოს სახელმწიფოს მთლიანობას ვერავინ და ვერაფერი ვერ დაშლის!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები: აკაკი გასვიანი, ნაპოლეონ მესხია, ჯიმი ჯაჭვლიანი, ჯემალ ზამახარია.

ღვინო: საზრდო მატერიალურიც და სულიერიც

(დასასრული)

საბჭოთა იმპერიაში ყველა რესპუბლიკის პროდუქცია ერთსა და იმავე ბოთლში ისხმებოდა, ერთი და იგივე მასალებით ფორმდებოდა. დღეს, როცა ეკონომიკის შენების საკუთარ გზას დავადექით, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ჩვენ — მეღვინეებმა, მინის მრეწველებმა, მხატვრებმა, პოლიგრაფისტებმა — ერთობლივად უნდა ვიფიქროთ როგორც საკუთარი ბოთლის, ისე ეტიკეტის შექმნისთვის, ქართული ღვინის სახელისა და ღირსებისთვის.

— ამაში, ალბათ, უპირველესი სიტყვა მაინც მეღვინეს ეკუთვნის. დამეთანხმებით, იმ განუკითხაობის წლებში, როცა ყველაფერი რაოდენობით იზომებოდა, ქართველმა მეღვინემ მოგებასთან ერთად ზარალიც დიდი ნახა.

◉ საქართველო მსოფლიოში ვაზისა და ღვინის ერთ-ერთ უძველეს სამშობლოდ არის აღიარებული.

◉ „სამტრესტის" სისტემაში არსებული სიმძლავრეები საშუალებას იძლევიან წელიწადში გადავამუშაოთ 700 ათას ტონაზე მეტი ყურძენი, ჩამოვასხათ 18-20 მილიონი დეკალიტრი ღვინო, 20-25 მილიონი ბოთლი შამპანური, 1 მილიონი დეკალიტრი ლიქიორ-არყის ნაწარმი, ვაწარმოოთ 1,5-2 მილიონი დეკალიტრი კონიაკი.

— მესმის თქვენი მინიშნებისა. იქ, სადაც მხოლოდ გეგმების შესრულებაზე ლაპარაკობენ, არ შეიძლება სპეციალობა, პროფესიონალიზმი არ დაზარალდეს. ამას ვერ ასცდა ჩვენი მეღვინეობაც, რომელიც ერთ დროს ხელოვნების რანგამდე იყო აყვანილი. ახლა შეიქმნა ასპარეზი იმისა, რომ ქართველმა მეღვინემ მიხედოს თავის პროფესიას, ღვინის ხარისხს და მას მსოფლიოში კუთვნილი ადგილი დაუმკვიდროს.

— ასეთ ღვინოში კაცს ფულიც არ დაენანება, თუმცა უკანასკნელ ხანს ფასები ისე კატასტროფულად მატულობს, რომ ადვილი შესაძლებელია ქართველი, პირველად თავის ისტორიაში, ღვინოს საერთოდ გაეყაროს კიდეც.

— მაგრამ რაღა ღვინოს უნდა გაეყაროს და არა, ვთქვათ, სიგარეტს, რომელიც ღვინოზე რამდენჯერმე ძვირი ღირს? და საერთოდ, დღეს რა იყიდება იაფად? საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ პერიოდში, როცა ირგვლივ ყველაფერი ქაოსს მოუცავს, ძნელია ღვინის (და არა, მარტო ღვინის) მყარ ფასებზე ვილაპარაკოთ. იმის კვალობაზე, რომ ნედლეულისა და მისი გადამუშავების ხარჯები იზრდება, ღვინის ფასი, ალბათ, კვლავაც მოიმატებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოში ქართველი კაცი ღვინოს ზურგს შეაქცევს. სულ ასე ხომ არ იქნება, ქაოსი და დისბალანსი ნელ-ნელა გაქრება, ეკონომიკა მოღონიერდება, შრომის ნაყოფიერება, ანაზღაურება მოიმატებს, ცხოვრება გაწონასწორდება და ღვინოსაც თავისი მუშტარი ეყოლება. სხვათა შორის, იგი არც ახლა რჩება გაუსაღებელი.

— მაგრამ არის სამდურავიც. ზოგი ღვინო და არაყი ისეთია, პირში არ ჩაიშვება, არის მოწამვლის შემთხვევებიც.

— თქვენ ძალიან მტკივნეულ საკითხს შეეხეთ. საქმე ის გახლავთ, რომ კერძო სექტორის განვითარებამ ინტენსიური ხასიათი მისცა ყურძნის გადამამუშავებელი, ღვინის, არყისა და თვით კონიაკის ჩამოსასხმელი საწარმოების მშენებლობასა და მდარე ხარისხის პროდუქციის გამოშვებას. ამას ისიც ემატება, რომ მათ საქმიანობას ვერ აკონტროლებს სახელმწიფო, რაც იწვევს ათწლეულების მანძილზე სპეციალისტთა მრავალი თაობის თავდაუზოგავი შრომით შექმნილი ქართული სასმელების ავტორიტეტის სამომხმარებლო ბაზარზე კატასტროფულ დაცემას.

— გამოდის, რომ თქვენ არ ემხრობით ამ სფეროში კერძო სექტორის განვითარებას?

— არა, საკითხი ამგვარად არ უნდა გავიგოთ. აქ წინა პლანზე უნდა წამოვწიოთ სახელმწიფო საწარმოთა ინტერესები, რომლებიც კარგავენ ისედაც მწირ სანედლეულო ბაზას და დამხმარე მასალების რესურსებს წლეულს, მაგალითად, „სამტრესტის" საწარმოებში გადამუშავდა მხოლოდ 160 ათასი ტონა ყურძენი, რაც კატასტროფულად ამცირებს როგორც მეზობელი ქვეყნების, ისე საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნათა დაკმაყოფილებაში სახელმწიფო ინტერესების აუცილებელი დაცვის შესაძლებლობებს.

ეს ერთი, მაგრამ არის მეორე მხარეც — როგორი ხარისხის პროდუქციას იძლევიან კერძო საწარმოები? ძალიან მდარეს, რამაც შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს მოსახლეობის ჯანმრთელობას. ეს რომ არ მოხდეს, მიმაჩნია, რომ არყისა და კონიაკის წარმოებაში მაინც მონოპოლია სახელმწიფომ იქონიოს. ეს ასეა ყველა რიგიან ქვეყანაში და, რა თქმა უნდა, გამონაკლისი არც ჩვენ უნდა დავუშვათ.

ისე კი, ღვინის მრეწველობაში (როგორც ბევრ სხვა დარგში) კერძო სექტორის განვითარება ბუნებრივი პროცესია და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. მაგრამ მას სჭირდება მართვა, სისტემატური კონტროლი და ხელშეწყობა, თორემ მარტო ლიცენზიების დაწესება ვერაფერს გვიშველის.

— ეს კერძო სექტორი, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის პირობებში როგორ წარიმართება სახელმწიფო ღვინის საწარმოების საქმიანობა? როგორც ვიცი, ბევრი ისწრაფვის ქამარს მათი ხელში ჩაგდებისათვის.

— ამაზე ცალსახა პასუხი გამიჭირდება, მაგრამ ალბათ ყველაზე უკეთესი იქნება ღვინის საწარმოთა გააქციონერების გზით წავიდეთ. ეს თანაბარ სასტარტო პირობებს შეუქმნის მესაკუთრეს და სოციალური თვალსაზრისითაც უფრო გამართლებული იქნება, ვიდრე მათი კონკურსით ან აუქციონით გაყიდვა.

ამის გაკეთება აუცილებელია იმიტომაც, რომ ღვინო სტრატეგიული დანიშნულების პროდუქტია და მასზე კერძო სექტორის მონოპოლია სახელმწიფოს და ხალხს კარგს არაფერს მოუტანს, ამიტომ აქციების ნაწილი, ალბათ, სახელმწიფომ უნდა დაიტოვოს, რათა შეეძლოს ღვინის, შამპანურის და კონიაკის რესურსების გარკვეული ნაწილი ბარტერული გაცვლისთვის ან სხვა დანიშნულებით გამოიყენოს.

— ასეთი ალებ-მიცემობა დღეს, როცა ქვეყანა გაღატაკების ზღურბლზეა, მართლაც და სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს.

— სწორედაც რომ ასეა. ჩვენ შეგვიძლია ქართული ღვინოების, შამპანურისა და კონიაკის სანაცვლოდ ხალხისთვის აუცილებელი პირველი მოთხოვნილების პროდუქტებიც შემოვიტანოთ და უცხოური ვალუტით სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტიც შევავსოთ. მერწმუნეთ, ჩვენი ღვინოები და კონიაკები, რომლებსაც საერთაშორისო დეგუსტაციებსა და გამოფენებზე 160-ზე მეტი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები აქვთ მიღებული, იმსახურებენ იმას, რომ მსოფლიო ბაზარზე თავიანთი ადგილი მოიპოვონ. ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა. ამ დღეებში ჰოლანდიაში ცისტერნებით გაიგზავნა „წინანდლისა" და „მუკუზნის" მასალა, რომელსაც იქვე ჩამოასხამენ და გაყიდიან. მიმდინარეობს მოლაპარაკება ამერიკულ, ინგლისურ და სხვა ფირმებთან საგარეო ურთიერთობის დასამყარებლად. ფირმა „სამებამ", მაგალითად საგარეჯოში ამერიკელ პარტნიორებთან ერთად შექმნა ერთობლივი საწარმო, რომლის პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე გასაღდება.

არის სხვა საქმიანი გარიგებებიც. ამას წინათ ესპანელ ბიზნესმენთა ჯგუფი ეწვია შამპანური ღვინოების ფირმას „მუხრანს", რომელთანაც გაფორმდა კონტრაქტი. ესპანეთის მხარე კისრულობს საკუთარი სახსრებით დაამონტაჟოს შამპანურის ჩამომსხმელი სამი თანამედროვე ტექნოლოგიური ხაზი, რომელთა სიმძლავრე წელიწადში 20 მილიონი ბოთლი იქნება, მოგვაწოდოს საცობები, ფილტრები, ეტიკეტები, ტარა, ყოველივე ის, რაც ამჟამად ასე ჭირს. ნავარაუდევია სპეციალისტების გაცვლაც. საერთო ანგარიშით კი, საქართველო მსოფლიო ბაზრებზე შამპანურის რეალიზაციის შედეგად დიდ მოგებას მიიღებს.

◉ წარმოებული პროდუქციიდან რესპუბლიკა მოიხმარს 6-7 მილიონ ბოთლ შამპანურს, 5-6 მილიონ დეკალიტრ ღვინოს, 150-200 ათას დეკალიტრ კონიაკს. დანარჩენი გავა საექსპორტოდ.

◉ წლეულს პროგნოზით გათვალისწინებული 287 ათასი ტონის ნაცვლად „სამტრესტის" საწარმოებში გადამუშავდა დაახლოებით 160 ათასი ტონა ყურძენი.

და ამას მხოლოდ ერთი ფირმა გვპირდება. რას მოგვიტანს მთლიანად მსოფლიო ბაზარზე გასვლით ჩვენი ღვინო და კონიაკი, ეს ჯერ კიდევ დასაანგარიშებელია. ისიც ანგარიშში ჩასათვლელია, რა სიკეთეს მოუტანს მომავალში ჩვენს მევენახეობასა და მეღვინეობას ქართველი მეცნიერების, სამეცნიერო დაწესებულებების გამოკვლევებისა და რეკომენდაციების წარმოებაში დანერგვა, დარგის რესპუბლიკური მმართველობის ორგანოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნა, მასთან ახალი კომერციული სტრუქტურების შექმნა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყოველივე ეს მეღვინეობას დიდად მომგებიანს და შემოსავლიანს გახდის. დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი საქართველოს ბიუჯეტს ეს დიდად წაადგება.

ესაუბრა
ოთარ ხუციშვილი.

მტკიცე პროტესტს აცხადებს

საქართველოს სამხედრო პროკურატურის განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო პროკურატურამ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბს აუწყა, რომ ბოლო დროს გახშირდა შემთხვევები, როცა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ავიაცია დაფრინავს და ცეცხლს უშენს საქართველოს შეიარაღებული ძალების პოზიციებს ქალაქ სოხუმის ზონაში. მაგალითად, 8 ნოემბერს 10 საათსა და თხუთმეტ წუთზე საქართველოს ბატალიონის პოზიციების თავზე საბრძოლო ფრენა განახორციელა ორმა თვითმფრინავმა; 5 ნოემბერს 7 საათსა და 35 წუთზე ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუს თავზე საბრძოლო ფრენას ახორციელებდა ვერტმფრენი; 17 საათსა და 40 წუთზე თვითმფრინავებმა ცეცხლი დაუშინეს სატანკო ბატალიონის პოზიციას, ერთი საათის შემდეგ კი საქართველოს ჯარების წინა პოზიციებს. 15 ნოემბერს 18 საათსა და 40 წუთზე სოფელ შრომის ახლოს საბრძოლო ფრენა განახორციელა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის თვითმფრინავმა; 18 საათსა და 45 წუთზე და 18 საათსა და 50 წუთზე თვითმფრინავმა დაბომბა სატანკო ბატალიონების და სამხედრო პოლიციის პოზიციები. 18 ნოემბერს 18 საათსა და 15 წუთზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის თვითმფრინავმა დაბომბა საარტილერიო დივიზიის განლაგების რაიონი. პირველი ბომბი დაეცა საცხოვრებელ სახლს, დაიღუპა ქალი და დაიჭრა ბავშვი; მეორე ბომბის ჩამოგდების შედეგად დაიჭრა დივიზიონის ჯგუფურის გვარდიელი. მეორე დღის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის თვითმფრინავმა დაბომბა სატანკო ბატალიონის მარცხენა ფრთა.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის თვითმფრინავები საქართველოს ჯარების პოზიციების თავზე ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაფრინავენ, იმ ვერტმფრენების გამოკლებით, რომლებიც ჯდებიან სასაზღვრო რაზმის ტერიტორიაზე.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო პროკურატურა მტკიცე პროტესტს აცხადებს და ითხოვს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ჩარევას ასეთი ფაქტების აღკვეთის მიზნით.

ელოდებიან ვითარების სტაბილიზაციას

ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე აღდგენილია ბანდიტების მიერ აფეთქებული გაზსადენის მონაკვეთი, რომლითაც ხდებოდა თურქმენეთიდან ბუნებრივი გაზის მოწოდება საქართველოსა და სომხეთში. მაგისტრალი უკვე მთლიანად შევსებულია. მაგრამ რუსეთის კონცერნ „გაზმრეწვის" ჩრდილო კავკასიის გაერთიანება მიიჩნევს, რომ გაზის მოწოდების დაწყება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაცია ჩრდილოეთ ოსეთში. საქინფორმის კორესპონდენტმა თენგიზ ჩხიკვაძემ ეს ინფორმაცია მიიღო „საქტრანსგაზის" უფროსის კარლო ნიკოლაიშვილისაგან.

მანვე განმარტა, რომ ამჟამად გაზს საქართველოში თურქმენეთიდან იღებენ ძველი გაზის მაგისტრალით ჩრდილოეთ ოსეთისა და აზერბაიჯანის გავლით ყოველდღიურად 24 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი მოცულობით. აქედან 17,7 მილიონი კუბური მეტრი ნაწილდება საქართველოში, შვიდი კი იგზავნება სომხეთში. ეს რაოდენობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პრაქტიკულად ამოქმედდეს გათბობის კომუნალური სისტემები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არ არის მაზუთი, საქართველოს ყოველდღიურად სჭირდება დაახლოებით 30 მილიონი კუბური მეტრი გაზი. როგორც კ. ნიკოლაიშვილმა თქვა, მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალში ამჟამად მოქმედი მაგისტრალებით რესპუბლიკას მოაწვდიან ხუთი მილიონი კუბური მეტრით მეტ გაზს, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს შექმნილ ვითარებას.

სამი კითხვა ახლადარჩეულ ხელმძღვანელს

წინ რთული გზაა

გვესაუბრება საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი გიორგი კვესიტაძე

ძირითადად უკვე დაკომპლექტდა ქვეყნის მინისტრთა კაბინეტი. დარგების ხელმძღვანელებად არჩეული არიან კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც, იმედია, უთუოდ სასიკეთოდ დაატყობენ საქმეს ხელს. მათზე კი ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამიტომაც ჩვენს მკითხველებსაც, ცხადია, სურთ უფრო მეტი რამ იცოდნენ მათი საქმიანი და ადამიანური თვისებების, სამომავლო გეგმების შესახებ, იმის თაობაზე, თუ რის გაკეთებას აპირებენ ისინი და როგორ ესახებათ მომავალი მუშაობა.

სწორედ ამის გათვალისწინებით ვიწყებთ მასალების პუბლიკაციას რუბრიკით — „სამი კითხვა ახლადარჩეულ ხელმძღვანელს". ამ რუბრიკით გამოქვეყნებულ ინტერვიუებს არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ ამომწურავი, ანალიზური მასალების პრეტენზია (ორიოდე დღის წინ დანიშნულ ხელმძღვანელს ვერც მოსთხოვ ყოვლისმომცველად ისაუბროს დარგის წინაშე მდგომ ყველა პრობლემასა და სამომავლო ამოცანებზე). ისინი ძირითადად, თუ შეიძლება ასე ითქვას, მკითხველთათვის ახლადარჩეულ ხელმძღვანელთა წარდგენას და გაცნობას ისახავს მიზნად. მათთან საფუძვლიან და ანალიზურ ინტერვიუებსა თუ სხვა საგაზეთო მასალებს კი მცირეოდენი ხნის შემდეგ შემოგთავაზებთ.

მაშ ასე: რედაქციის სამ კითხვას უპასუხებს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი ბატონი გიორგი კვესიტაძე.

დაიბადა 1942 წელს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1959 წელს, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, მისაღები გამოცდები ჩააბარა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე. ორი წლის მუშაობის შემდეგ ჩაირიცხა მოსკოვის ბიოქიმიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1969 წელს ამავე ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო, 11 წლის შემდეგ კი — სადოქტორო დისერტაციები. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს თბილისის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტში, სადაც განვლო გზა უფროსი ლაბორანტიდან დირექტორის მოადგილემდე. 1985 წელს გადაიყვანეს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ. 1987 წლიდან, მინისტრად დამტკიცებამდე, იყო მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის დირექტორი. 1983 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1988 წელს კი — ნამდვილ წევრად. გამოქვეყნებული აქვს ორასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან ერთი დაპატენტებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ორი — შვეიცარიაში, არის რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი. 1978-79 და 1983 წლებში მუშაობდა ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში, საზღვარგარეთის ათზე მეტ ქვეყანაში ჩატარებული აქვს 38 სემინარი. უპარტიოა. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და სამი შვილიშვილი. იცის ინგლისური, გერმანული და რუსული ენები.

— ბატონო გიორგი, როგორ შეაფასებდით, ძალიან მოკლედ, დარგში ამჟამად არსებულ ვითარებას?

— სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში, რესპუბლიკის მოსახლეობისათვის ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგში, ამჟამად არსებული მდგომარეობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება თითქმის ერთნაირი წარმატებით შეუძლია ყველას — სპეციალისტსაც და არასპეციალისტსაც. ამისათვის სულაც არ არის საჭირო ნიუანსებში ღრმად წვდომა — კვების პროდუქტთა უმწვავესი დეფიციტი და მაღაზიების გამოცარიელებული თაროები თავისთავად მიგვანიშნებს, რომ დარგში, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, ერთობ მძიმე და რთული მდგომარეობაა.

ამის გამომწვევი მიზეზებიც საკმაოდ ცნობილია. პრივატიზაცია შუა გზაზეა შეჩერებული, სახელმწიფო სექტორი პრაქტიკულად არ არსებობს, ახალფეხადგმულ კერძო სექტორს კი ჯერ არ ძალუძს კვების ძირითად პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, არ არის საწვავი, ჭირს ელექტროენერგია... ყველა ეს და სხვა მიზეზები კი ქმნის კოლოსალურ სიძნელეებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ ამჟამინდელი ერთობ არასახარბიელო მდგომარეობაც კი არ გვექნებოდა, ანუ თითქმის საერთოდ არაფერი არ გვექნებოდა, დღევანდლამდე არსებული სოფლისა და კვების მრეწველობის სამინისტროთა საოცარი ძალისხმევა რომ არა...

— თქვენი აზრით, რა არის საჭირო ამჟამად შექმნილი მდგომარეობის თუნდაც ნაწილობრივ გაუმჯობესებისათვის და კონკრეტულად რისი გაკეთება მიგაჩნიათ სამისოდ აუცილებლად უახლოესი თვეების მანძილზე?

— პასუხი იქნებ გაცვეთილადაც მოეჩვენოს ზოგიერთს, მაგრამ ამისთვის უწინარესად საჭიროა თითოეულისა და ყველას კეთილსინდისიერი, დღევანდელობის მოთხოვნათა შესატყვისი შრომა, მაღალი პასუხისმგებლობა და წესრიგი. თუმცა მარტო ესეც არ გვიშველის. აუცილებელია სათანადო სამთავრობო გადაწყვეტილებები და თანამშრომლობის ხელშეკრულებები ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან — აზერბაიჯანთან, რუსეთთან, უკრაინასთან და სხვებთან, ვისთანაც ეკონომიკური ინტერესები გვაკავშირებს. უამისოდ შეუძლებელია დარგის პერსპექტიული განვითარების პროგრამის შემუშავება.

კიდევ ერთი აუცილებელი პირობა — ქვეყანაში შინაპოლიტიკური სტაბილიზაცია და წესრიგი. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ნაყოფიერი და უსაფრთხო მუშაობის პირობები. საჭიროა მესაკუთრის ინტერესების დაცვა და ერთიანი რესპუბლიკური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება...

ჩვენი ამჟამინდელი გადაუდებელი საზრუნავია წლევანდელი ციტრუსის უხვი მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღება, დაბინავება და რეალიზაცია, შესაძლებლობის ფარგლებში ყველა საზამთრო თუ საგაზაფხულო სამუშაოსთვის მაქსიმალურად მომზადება, აუცილებელი კვების პროდუქტებით მოსახლეობის შესაძლებლობისდაგვარად უზრუნველყოფა და, საერთოდ, ყველა იმ პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, რომლებიც დარგის წინაშე დგას. მოკლედ, ვეცდებით ყველაფერი გავაკეთოთ, რაც ჩვენზეა დამოკიდებული.

— როგორ გესახებათ დარგის მუშაობა საბაზრო ეკონომიკისა და საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პირობებში?

— საბოლოო ანგარიშით, — პერსპექტიულად და იმედისმომცემად. საქართველოს სოფლის მეურნეობას და გადამამუშავებელ მრეწველობას შეუძლია და კიდეც უნდა უზრუნველყოს რესპუბლიკის მოსახლეობა საკუთარი წარმოების ძირითადი პროდუქტებით. მაგრამ საამისოდ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ძირითადი გზა მაინც პრივატიზაციაზე, საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებაზე გადის. ამის კვალობაზე უთუოდ შეიცვლება სამინისტროს ფუნქცია-მოვალეობებიც.

ესაუბრა
რუსლან რუსია.

არა კენჭის საყრელი

იმ ერთის გამო

გალინა ხარებაშვილი,
„საქართველოს რესპუბლიკის" საპარლამენტო კორესპონდენტი.

პარლამენტში ყველა საკითხი პაექრობის, ხან მწვავე, ხან მშვიდობიანი შეხლა-შემოხლის შემდეგ კენჭისყრაზე დგება, „გადაწყვეტილება მიღებულია" ან „გადაწყვეტილება მიღებული არ არის" — ინთება კომპიუტერის ტაბლოზე და ერთი ლოკალური საკითხის განხილვა მთავრდება. მაგრამ შიგა და შიგ არის საკითხები, ასე ვთქვათ, არა კენჭის საყრელი, მაგრამ თავისი მნიშვნელობით არც ნაკლები, უფრო ალმატიური თუ არა. ჩემი გულისყური ხშირად ამისთანებს უფრო მისდევს ხოლმე.

საიდან სადაო და გუშინწინდელი დილის სხდომის უჩვეულო დასაწყისმა ამ რამდენიმე წლის წინათ ნანახი ერთი ფილმი გამახსენა, უფრო ზუსტად — ამ ფილმით მოგვრილი ძალზე უსიამოვნო განწყობილება. ფილმი სამხრეთ ამერიკის რომელიღაც, თუ არ ვცდები, სალვადორის, რესპუბლიკის ამბებს ეხებოდა. მახსოვს, საერთო ფონი — განუკითხაობა, ძარცვა, გაუპატიურება, ხოცვა, გვამები, გვამები, გვამები... — იმდენად კოშმარული იყო, რომ დავიზაფრე. როგორც ვთქვი, ეს რამდენიმე წლის წინათ იყო, მაშინ, ჯერ კიდევ მილიციელის დანახვა ჩვენში უარყოფითი ემოციის მეტს არაფერს რომ არ იწვევდა „ასფალტის ყაყაჩოს" და რა ვიცი, რა დამამცირებელ მეტსახელს არ ვეძახდით. ესე იგი, მაშინ, წესრიგი თავის დონეზე რომ იყო და აზრად არავის მოგვდიოდა, რომ სხვანაირადაც შეიძლება. ასეა, როდის იყო, ადამიანი სუნთქვის დროს ჟანგბადის განუზომელ სიკეთეზე ფიქრობდა.

ისიც მახსოვს, ფილმის ავტორებს მაშინ გროტესკი დავწამე. დაზაფრვით კი ძალაუნებურმა წარმოსახვამ დამზაფრა — უბრალოდ, ზოგადად წარმოვიდგინე, რა საშინელება იქნებოდა ამგვარ გარემოში ცხოვრება, თორემ ოდესმე თავად თუ დამიდგებოდა დრო, როდესაც შებინდებისას კისრისტეხით სახლისკენ უნდა გავვარდე, თან ნამდვილ სამკაულს ვინ ჩივის, ქორწინების ბეჭედიც კი თითიდან უნდა წავიძრო და საგულდაგულოდ გადავმალო (რა ვიცი, როგორ მიაღწია სახლამდე), ნამდვილად არ მიფიქრია (წარმოსახვას სითამამე არ ეყო, ეტყობა).

დღეს იმ ფილმში ნანახ კოშმარულ ფონამდე ბევრი აღარ გვაკლია დედაქალაქში, ყოველ შემთხვევაში, ცოტა იქით კი... არ ვაჭარბებ: ადამიანებს ამ ტოტალური შეჭირვების ჟამს, როდესაც თავს ვინღა ჩივის, ურიგოდ აღებული პურიც კი მოენატრათ, როცა სცივათ, სწყურიათ. სატირალი არ ელევათ, ყველაზე მეტად მაინც წესრიგი ენატრებათ. უბრალოდ, — დაუცველობისგან დაცვა.

აი, ასეთ დროს, როცა კანონიერი საკანონმდებლო ორგანო მუშაობს უკვე, როცა ნელ-ნელა თავის სახეს იღებს ხელისუფლება, როდესაც ცხოვრება რაღაც ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს, სახელმწიფოს მეთაური იძულებულია, პარლამენტის სხდომა დაიწყოს ზოგიერთი დაწესებულების თუ უწყების თანამშრომელთა, რბილად რომ ვთქვათ, უტაქტო გამოხდომაზე პასუხით. თურმე, ნუ იტყვით, თუ მინისტრს გამოუცვლიან, პროტესტს განაცხადებენ, გაიფიცებიან (?!).

მაშინ ზუსტად არც ვიცოდი, რომელ უწყებას ეხებოდა ზემოთ ნათქვამი. მაგრამ ამას არც აქვს მნიშვნელობა. ერთი რამ ყოველთვის ვიცი: არის რაღაც-რაღაცეები, რის უფლებაც ადამიანს არა აქვს. გაცვეთილი ფრაზაა, მაგრამ სხვა სიტყვებით ვერ იტყვი: ქვეყნის ინტერესების წინ პირადულის (გინდა უწყებრივის) გამოხტუნავების უფლება ნამდვილად არავის აქვს, თანაც დღეს. სამშობლოსთვის ადამიანები შვილებს რომ ელეოდნენ აქამდე მხოლოდ ისტორიიდან ვიცოდი. საუბედუროდ, დღეს ამგვარი მაგალითებისათვის ისტორიული ექსკურსები საჭირო აღარ არის. ზუსტად ამ დღეს გააცილეს საბოლოო გზაზე ირაკლი ამირეჯიბი — ბატონი ჭაბუას ნანატრი ვაჟი. კიდევ ერთი... კიდევ ერთი... ყოველდღე გვესმის ტელეეკრანიდან და უკვე სისხლი გვეყინება ამ ორი სიტყვის გაგონებაზე. კიდევ ერთი — ჩვენთვის, მშობლისთვის კი — ერთადერთი. აი, ასეთ ფონზე გვიცხადებთ პროტესტს, ბატონებო, ვერშესალევი მინისტრის (სხვათა შორის, იქნებ ძალზე ღირსეული კაცის) გამო?!

სამშობლო ყველას ერთი გვაქვს. სხვა სამშობლოს არავინ მოგვცემს და არც გვინდა, ისე მწარედ შეგვაყვარებია ეს ხარიც და ჯვარიც ჩვენი. „გაიგეთ, მშობლებო, შვილზე მეტად მიყვარს საქართველო, გაიგეთ!.." ყელზე ძარღვები ებერებოდა აფხაზეთში მებრძოლს, რიგით ჯარისკაცს... „თავი არ მინდა, თუ ის არ იქნება..." იმაზე გულწრფელი არავინ შემხვედრია. ელევა, საკუთარი ნებით ელევა ყველას და ყველაფერს იმ ერთის გამო... სხვა უფლებას თავს არ უტოვებს. ყველას ამას ვერ მოსთხოვ, ისევე, როგორც ყველას ვერ მოსთხოვ მოსატოვარს. ოღონდ ეგ არის, თუ სამშობლოს ქვას ქვაზე ვერ დაუდებ, ნუ გამოაძრობ მაინც. აი ამას კი მოგვთხოვენ უთუოდ დღესაც, ხვალაც, ზეგაც, ვინც გინდა იყოს, და მოგთხოვენ მწარედ, რადგან, ასეთ საკითხებს პარლამენტი კენჭისყრაზე ვერ დააყენებს. ასეთი საკითხები იმ პაწაწინა ღმერთმა უნდა გადაგაწყვეტინოს, დიდი ილია სინდისს რომ უწოდებდა და კიდევ იმ ერთის სიყვარულმა, სადღეგრძელოებში დასურათხატებულად რომ გადმოგვღვრით ხოლმე სუფრაზე.

პრობლემა

თუ ზრუნვას არ მოვაკლებთ

ტუნგი შრომას ასმაგად ანაზღაურებს

დარიკო თოდრია,
რესპუბლიკური გაერთიანება „საქეთერზეთის" გენერალური დირექტორის მოადგილე სოფლის მეურნეობისა და დამზადების დარგში

საქართველო სუბტროპიკული კულტურებით მდიდარი ქვეყანაა. მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ტუნგი, რომელიც შეიძლება და კიდეც უნდა გადავაქციოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ძლიერების ერთ-ერთ წყაროდ. და მით უფრო დასანანია, რომ ტუნგის ხე, რომელსაც საქართველოს მთელ რიგ რაიონებში (აჭარა, აფხაზეთი, გურია-სამეგრელოს ზონა) ზრდის ხელსაყრელი პირობები აქვს, დაუმსახურებლადაა ბედის ანაბარად მიტოვებული. მაგალითად: 50-იან წლებში საქართველოში ტუნგს 20 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი ეკავა, რომელიც სადღეისოდ 8000 ჰექტარამდე შემცირდა, საიდანაც მხოლოდ 4460 ჰექტარია სრულმოსავლიანი. 1991 წლამდე 1 ტონა ტუნგის ზეთი 15 ათას მანეთამდე ღირდა: 1991 წელს ტონა ზეთში მომხმარებელი 45 ათასამდე მანეთს იხდიდა, წლეულს კი 1 ტონა ზეთი 1650 დოლარად ფასობს.

ტუნგის ხე მრავალწლოვანი მცენარეა. მისი გაშენება შეიძლება როგორც პლანტაციის სახით, ისე ცალკე ნარგავებად, არის ნაკლებად შრომატევადი. იგი კარგად შეეწყობა სხვა სუბტროპიკულ და ერთწლოვან კულტურებსაც. ეს საშუალებას გვაძლევს ერთდაიგივე ფართობზე მოვიყვანოთ როგორც თვით ტუნგის ნაყოფი, ისე საკვებ პარკოსანთა ძვირფასი მარცვლეულიც. რიგთაშორისების გამოყენება თავისუფლად შეიძლება მეცხოველეობის საკვებისთვისაც.

მსოფლიოში ცნობილი ტუნგის 5 სახეობიდან ჩვენში გავრცელებულია 2 სახეობა — ფორდი (ჩინური) და კორდატა (იაპონური). ტუნგის ნაყოფის თესლისაგან მიიღება ერთ-ერთი ყველაზე უნიკალური ტექნიკური ზეთი, რომელიც 800-ზე მეტი დანიშნულებით გამოიყენება. მისგან მზადდება საუკეთესო სანდალოზი მინანქარი და საღებავები, რომლებიც გამოირჩევიან არაჩვეულებრივი გამძლეობით, სიმტკიცით, ელასტიკურობითა და წყალგაუმტარიანობით. იგი ერთადერთი ბუნებრივი ზეთია, რომელიც არ ატარებს ელექტროდენს, სწრაფად შრება და უჟანგავია, ლითონს იცავს კოროზიისაგან, ხოლო ხის ნაკეთობებს — ლპობისაგან. მას ძალიან ფართოდ გამოიყენებენ საავიაციო და საკონსერვო მრეწველობაში, მანქანათმშენებლობაში, წყალგაუმტარი ქსოვილების, ლინოლეუმის, სამუხრუჭე ლენტების წარმოებისათვის, შეუცვლელია ფულის კუპიურების დასამზადებლად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტუნგის განვითარებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ჯერ კიდევ 1986 წელს მიიღო მთავრობამ დადგენილება „რესპუბლიკაში 1986-1990 წლებში ტუნგის კულტურის განვითარების ღონისძიებათა შესახებ", მაგრამ დღემდე შეუსრულებელია მისი ნარგაობის აღდგენის, გაფართოებისა და სიმეჩხერის ლიკვიდაციის ღონისძიებები. მიწის პრივატიზაციასთან დაკავშირებით სასწრაფოდ განსახორციელებელია ტუნგის ნარგაობათა პასპორტიზაცია სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი ფართობების დასადგენად. ადგილობრივმა ორგანოებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ სპეციალიზებული მეურნეობების ტუნგის ფართობების შესანარჩუნებლად. გასაძლიერებელია სპეციალიზებული და დიდმწარმოებელი მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დასაჩქარებელია ნედლეულის საშრობი ფარდულების მშენებლობა, ნაყოფსარჩევი მანქანების გამოშვება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგროტექნიკურ სამუშაოთა განხორციელებას, პლანტაციებში მინერალური და ორგანული სასუქების დროულად შეტანას, მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ შხამქიმიკატებისა და ბიოლოგიური მეთოდების გამოყენებას.

დარგის ინტეგრაციის მიზნით აუცილებელია ქობულეთის ტუნგის ზეთსახდელი ქარხნის, ტუნგის დამამზადებელი კანტორებისა და სპეციალიზებული მეურნეობების ერთიან სტრუქტურულ სისტემაში გაერთიანება, რაც ხელს შეუწყობს დარგის შიდასამეურნეო და ეკონომიკური პროცესების მართვის ერთიანი საწარმოო-სამრეწველო კომპლექსის შექმნას.

ტუნგის ზეთი რესპუბლიკაში ვალუტის შემოტანის წყაროც შეიძლება გახდეს, თუ მას ზრუნვასა და ყურადღებას არ მოვაკლებთ.

●

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება ეროვნული თავდაცვის ფონდში.

სარედაქციო ფოსტიდან

ამ ბოლო დროს ჩვენი დედაქალაქი „ლოჯიამანიის" სენმა მოიცვა. ამ მძიმე ავადმყოფობით შეპყრობილები დაუნდობლად ამახინჯებენ თბილისის იერ-სახეს, საცხოვრებელ ადგილებში სპობენ სპორტულ მოედნებს, ბავშვთა სათამაშო ბაქნებს, უმოწყალოდ ჩეხენ მრავალწლოვან ნარგავებს, აზიანებენ გათბობის ქსელებს, სატელეფონო და ელექტრო-ხაზებს. ეზოები საშენი მასალების საწყობებად გადააქციეს, გადათხარეს და აატალახეს, წარმოქმნეს „ცხელი წერტილები" — ერთმანეთს გადაკიდეს მეზობლები, მეგობრები. ხშირია ხელჩართული ბრძოლა, შუღლი, მტრობა, სიტყვიერი, ფიზიკური შეურაცხყოფა, სასამართლოში სირბილი, ნერვების წყვეტა, უძილო ღამეები, რასაც ბევრი შეეწირა და კიდევ რამდენი შეეწირება არავინ იცის, ამ დროს კი ვიღაც-ვიღაცეები ჯიბეს ისქელებენ და დაუსჯელად დასეირნობენ. ისმის კითხვა, როდემდის გასტანს ეს აუტანელი მდგომარეობა? ზედმეტი ფართობი ვის არ სჭირდება, მაგრამ... „გადაჯდენითი" სართულების დაშენება სიკვდილის ტოლფასია დღეს, როდესაც ზოგიერთი უვიცი პროექტანტისა თუ მშენებლის სიხარბე გახდა მიზეზი არა ერთი და ორი უბედურებისა (იხ. გაზ. „თბილისი", 15 მაისი 1992 წ. „ლოჯია გამოიწგრა"). ყველასათვის სამწუხარო და დასანანია ბახტრიონის ქუჩაზე მომხდარი ლოჯიის დანგრევა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. ნუთუ ვერ უნდა შეიგნოს ზოგიერთმა, რომ არასწორი მიშენება რისკთან არის დაკავშირებული? ამ განუკითხაობის შესახებ ბევრჯერ ითქვა ტელევიზიით, რადიოთი, დაიწერა პრესაში, მაგრამ არაფერი გვიშველა.

განუკითხაობა

სენი „ლოჯიამანიისა"

ახლა კონკრეტულად მინდა შევეხო ჩვენი სახლისა და ეზოს მაგალითს. 1958 წელს დამთავრდა და შეგვასახლეს მაშინდელი პავლოვის ქ. №55 და № 55 ა ექსპერიმენტულ, ეკლარის ტუფით მოპირკეთებულ საჩვენებელ 4-სართულიან სახლებში, რომლებიც დღესაც ალამაზებენ პროსპექტს. იმ დროისათვის არ იყო გაჭრილი ვაკე-საბურთალოს გზა. მხოლოდ ავტობუსი მოძრაობდა, ისიც დიდი შეფერხებით და ჩვენს სახლებამდე მისვლა საშინლად ჭირდა. არ იყო არც ერთი ხე, ბუჩქი, გათბობა, ტელეფონი, შეფერხებით მოდიოდა წყალი, ელექტროენერგია. ყველა ამ სიძნელის გადალახვა კეთილმა მეზობლობამ, სიყვარულმა შეგვაძლებინა. იმ დროს ჩვენს ეზოში ცხოვრობდნენ სახელოვანი ადამიანები: ქორეოგრაფი ჯანო ბაგრატიონი, კომპოზიტორი გიორგი ცაბაძე, პროფესორი ლადო მახარაძე, გურამ ტატიშვილი, არქიტექტორი სანდრო კეხუაშვილი, ქალაქის კოლორიტული ფიგურები — აბო ქურხული, ვალიკო ჭკუასელი, კოტე ჭანტურიშვილი. 1959 წლიდან გაერთიანებული ძალით, თავგამოდებული ენთუზიაზმით შევუდექით ეზოს მოვლა-პატრონობას. დავრგეთ ხეები, ბუჩქები, მოვაწყვეთ სპორტული მოედანი, ბავშვთა სათამაშო ბაქანი, ავაშენეთ ფაცხა. გავიდა წლები, ეზო სანიმუშოდ გამწვანდა, ვინც ჩვენს ეზოში მოხვდებოდა, გამწვანებას გვიქებდა, მერე კი ულმობელმა სიკვდილმა დაგვრია ხელი, გამოგვაკლდა ზოგიერთი საყვარელი ადამიანი, მაგრამ მეზობლობის ძველ ტრადიციებს მაინც ვინარჩუნებდით. ახლა ჩვენს ლამაზ, საჩვენებელ სახლებამდეც მოაღწია „ლოჯიამანიის" ავმა სენმა. ზოგიერთ მეზობელს გაუჩნდა საცხოვრებელი ფართობის მომატების სურვილი.

ჩვენს დაუკითხავად შეადგინეს ყოვლად გაუმართლებელი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სახლზე, ოთხივე მხარეს, ლოჯიების მიშენება-დაშენებას. შემოიჭრნენ № 55 სახლის ეზოში, სახლებს შორის მანძილის ნორმების უხეში დარღვევით აჩეხეს 25-წლიანი ხეები, დაარბიეს ბავშვთა სათამაშო მოედანი... როგორც გაირკვა, ასეთივე პროექტი აქვთ მეორე სახლზეც, რის სასტიკი წინააღმდეგია ზოგიერთი მცხოვრები. ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ ლოჯიის მიშენებისა, თუ ის ყველაფერი სახლის მწვანე ზოლის მოსპობის გარეშე მოხდება, რაზეც ხელს ვაწერდით 1989 წელს შედგენილ განცხადებაში. დღეისათვის ჩვენი ხელმოწერები სულ სხვა კოოპერატივმა სხვადასხვა ხერხებით ჩაიგდო ხელში, რაც იურიდიულად გაუმართლებელია. ასე დაიწყო დავა-უთანხმოება მეზობლებში. ვინც სიმართლე თქვა, ის ინტრიგანად მონათლეს და ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრნენ. ეტყობა, ოჯახებში მეზობლების მიმართ იმდენ ცუდს ლაპარაკობენ, რომ ბავშვებიც კი ეზოში უფროსებს აღარ გვესალმებიან. ვის არ მივმართეთ ზემდგომ ორგანოებში, მაგრამ თავი არავინ შეიწუხა. ზოგიერთებმა პასუხიც კი არ გვაღირსეს. საინტერესოა, როდემდე გაგრძელდება ასე? ამ გაუთავებელმა ნერვიულობამ და დავამ ჩვენთან ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა უკვე და ვინ იცის კიდევ რამდენს შეიწირავს.

იაკობ რიჟამაძე,
დიმიტრი ცოცხალაშვილი,
ნიკოლოზ კეჩხუაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბრის გაგრძელება

...მებრალები, ძმაო, მებრალები!

ღია წერილი ჩემს ბიძაშვილს ჩეჩნეთიდან

ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 16 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა მწერალ გიორგი პაპუაშვილის „ღია წერილი ჩემს ბიძაშვილს ჩეჩნეთში“. ადრესატისაგან რედაქციამ მიიღო პასუხი. იგი ავტორს გავაცანით და ვთხოვეთ, კომენტარი გაეკეთებინა. უცვლელად ვბეჭდავთ წერილსაც და კომენტარსაც, ოღონდ ერთადერთ შეურაცხმყოფელ სიტყვას ვიღებთ წერილიდან და ორთოგრაფიულად ვასწორებთ ნაწილობრივ.

ჩემო გიორგი! წავიკითხე შენი წერილი, რამაც ძალიან დამაფიქრა. მებრალება ყველა ადამიანი ვისაც მოღალატეთა სისხლიანი ხუნტა ჩაითრევს თავის ბინძურ საქმეში. როგორ ვიფიქრებდი, რომ შენ, რომელსაც კომუნისტები და სხვა ავკაცები არასოდეს გყვარებია, დღეს მათ რიგებში აღმოჩნდებოდი?

გიგუცა ძია, ნუთუ ვერ ხედავ, რომ მაგას ისევ წითელი გული აქვს, რომ მან სისხლით გადააწითლა ჩვენი სამშობლო, პატიოსანი და უმანკო ადამიანების სისხლით, ნუთუ ვერ ხედავ, როგორ გაყიდა საქართველო, სამაჩაბლო რუსებს, და ოსებს დაუთმო. აფხაზეთში ვითომდაც „პატრიოტული“ ომი წამოიწყო, რათა შეაწყვიტოს ქართველობა რუსის ჯარს და ისევ რუსეთს ჩაუგდოს ხელში აფხაზეთი! ნახევარი ხომ უკვე რუსეთის ხელთაა! ბოლო ბოგდანოვკის ნინოწმინდის თავზე სომხების დროშა ფრიალებს. მაინც ვერ გამოფხიზლებულხართ? ჩეჩნები, რომ დაგიჩემებიათ, 80 ჩეჩენს ხედავთ და რუსის ჯარს ვერ ხედავთ ან იქნებ, არ გინდათ დაინახოთ?! იმას როგორ ვიფიქრებდი, რომ შენ, რომელსაც არასოდეს ჩაგიდენია ავკაცობა და ავაზაკობა, დღეს ავაზაკების და ქურდების ხელისუფლებას დაუქავშირდებოდი და მათ მიერ დაქირავებული გამლანძღავდი მე — შენს ბიძაშვილს, რომელსაც ძმისგან არასოდეს გამირჩევიხარ, ერთი მითხარი, რომ დაწერე თუ როგორ იქცა ავაზაკი და არაკაცი პატიოსან კაცად, თავად შენ — პატიოსანი კაცი ავაზაკებს როგორ დაუმეგობრდი? ვიცი, უარყოფ ყოველივე ამას, მაგრამ ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს, ვინ დაბეჭდავდა შენს წერილს „საქართველოს რესპუბლიკაში“, ხუნტის ბრძანება რომ არა? გაზეთში, სადაც ყველას უარს ეუბნებიან ხუნტის აგენტების გარდა? გაზეთში, რომელმაც კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებას უარი უთხრა წესდების გამოქვეყნებაზე და 40 ათასი მანეთი მოსთხოვა? განა რით გადაგარჯულეს ასე, რომ საქართველოს განმათავისუფლებელ პირველ პრეზიდენტს, მისთვის თავდადებულს, მოღალატეს უწოდებ და მე მამტყუნებ მისი ერთგულებისათვის, ნამდვილ მოღალატეებსა და საქართველოს დამაქცევარ სისხლიან იუდებს კი მხარში ამოდგომიხარ? მებრალები, ჭეშმარიტად მებრალები.

ტარიელ პაპუაშვილი,
31 X 92 წ.

ჩემი შენ გითხარიო...

ღმერთმა გილხინოს, ჩემო ტარიელ!

რაკი ხმა მომაწვდინე, დარდი შემიმსუბუქდება. არადა, დღედაღამ შენზე ფიქრი მტანჯავდა. კარგია, ბრძოლის უნარი და წინააღმდეგობის ყინი რომ კვლავ შეგრჩენია, მაგრამ ცუდი ის არის, არ იცი, ვის შეებრძოლო და ვის გაუწიო წინააღმდეგობა. შენი შვილების გარდა, ცოცხალთა შორის არავინ მეგულება, ვისაც ჩემსავით ეყვარები. ამაში შენც დამერწმუნები და დარწმუნებულიცა ხარ. ის წერილიც რომელიც შენ მოგწერე, შენი სიკეთისთვის იყო გამიზნული. ვიცი, მანდაური ხელისუფლება გაგირისხდება, მაგრამ უნდა იცოდე, ვის ემსახურები და ვის უნდა ემსახურებოდე. ჩვენი ერთადერთი საფიქრალი და საზრუნავი საქართველოა. მხარში იმას უნდა ამოვუდგეთ, ვინც საქართველოს ემსახურება და შევებრძოლოთ იმას, ვინც საქართველოს ებრძვის.

გმადლობ, რომ გებრალები კიდეც, „მოღალატეთა ხუნტას რომ ჩავუთრევივარ თავის ბინძურ საქმიანობაში!“ ვაი, ჩემი ბრალი! ხუნტას ვის ეძახით მანდ, არ ვიცი, მაგრამ ისე, როგორც ჩემი გვარის ღირსეული წინაპარი, მეც საქართველოს ერთგული ვიყავი, ვარ და ვიქნები, სანამ პირში სული მიდგას. ერთგული ვიქნები უანგაროდ და არა გამორჩენის, ანდა თავის გამოჩენის მიზნით.

ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო... დაფიქრდი და მიხვდი, ვისმა საქმიანობამ „გადააწითლა ჩვენი სამშობლო პატიოსანი და უმანკო ადამიანების სისხლით“? ვინ აფეთქებს ყოველდღიურად ხიდებსა და ლიანდაგებს? ვინ მოითხოვს საქართველოს დაშლა-დაქუცმაცებას? კახეთის სახელმწიფოს ცალკე გამოყოფას და გაეროში გაერთიანებას. თუ ეს ყოველივე მანდაური ქართველებისთვის სასიამოვნოა, ვაი ჩვენს ტანჯულ საქართველოს!

თურმე ავაზაკებისა და ქურდების ხელისუფლებას დავუქირავებივარ და შენი თავი გამილანძღავს! „რა ძალიან გული მტკივა, მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს!“ ნუთუ მართლა გჯერა შენი ნათქვამისა? თუ სხვისი მონაჩმახია, ვინც მანდ იდეურ ხელმძღვანელობას გიწევთ, ვინც საქართველოს ყველა ერთგულ შვილს კრემლის აგენტად ანდა საქართველოს მტრად სახავდა! იქამდე მაცოცხლა, სანამ ვინმე დამიქირავებდეს და შენი წინააღმდეგ, მით უფრო საქართველოს წინააღმდეგ გამომიყენებდეს, მაგრამ იმის უფლება უნდა მქონდეს, გზაზე რომ მიდიხარ, თუ იმ გზის ბოლოს უფსკრულია, გითხრა, ფრთხილად იარე-მეთქი. ახლაც გიცხადებ ხმამაღლა: ეგ გზა ნაცადი და მოლიპულია, რომელსაც თქვენ ადგახართ. ისტორია, ასე თუ ისე, გამეგება, და ამიტომ ვამჩნევ: ვინც მაგ გზით წასულა, ყველა დაღუპულა და, მეშინია, თქვენც ასე არ დაგემართოთ. ვხედავ და გირჩევ გულისტკივილით, თუმცა შენზე არაფერია დამოკიდებული. უბრალოდ მინდა იცოდე, რომ მაგ გზის ბოლოს უფსკრულია და დამნაშავეებთან ერთად შენ არ უნდა გადაიჩეხო, შენ, რომელსაც ჩემზე მეტად და რომანტიკულად გიყვარს შენი საქართველო! თუ უკვე არ შეგაჯავრეს. შენი სიცოცხლე ერთი კაცის ერთგულებას კი არა, საქართველოს ერთგულებას უნდა შეეწიროს.

შენს თავს გეფიცები, ვინც მე და შენ უანგაროდ გვყვარებია და ახლაც გვიყვარს, იმათ საფლავებს გეფიცები, რომ არცერთ ავაზაკსა და არაკაცს არ დავმეგობრებივარ და ამ გზით არ დამიბეჭდავს „საქართველოს რესპუბლიკაში“ შენდამი მომართული ღია წერილი. ეს მხოლოდ აფხაზეთში დატრიალებულმა უბედურებამ მიკარნახა, რომელშიც ლომის წილი უდევს შენს პრეზიდენტს, ვისაც ასე ერთგულად ემსახურები. ერთგულება ცუდი არ არის და ამის გამო არც გისაყვედურებ, არა თუ გაგლანძღო, მაგრამ ბინძურ საქმეში ერთგულება კარგს არას მოუტანს ჩვენს შთამომავლობას. მე ჩემს გვარს ვუფრთხილდები და სხვამ თავის გვარის ღირსებაზე იფიქროს. არ დაგიბეჭდავდნენო? სამ ათეულ წელზე მეტია ვბეჭდავ და ახლა როგორ არ დამიბეჭდავდნენ? ამას როგორღა გატყუებენ შენი მანდაური „კეთილისმსურველები“? ეგებ ისიც გითხრან, წერა არ იცის და სხვა დაუწერდაო? მე კი ეჭვი მეპარება შენი საპასუხო წერილის გამო: წერილი შენი ხელით არის დაწერილი, მაგრამ კონვერტზე სხვისი გაწაფული ხელი ჩანს. იგივე გაწაფული ხელის პატრონმა ხომ არ გიკარნახა შენი წერილის ამგვარი შინაარსი? რაც შეეხება „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას, თითქოს მხოლოდ „ხუნტის“ ბრძანებით ბეჭდავსო, აგერ, შენი წერილიც დაბეჭდა ბრძანების გარეშე. ამ გაზეთს ჩვენზე არანაკლები პატრიოტი კაცი უდგას სათავეში და საქმე რომ გაჭირდეს, სიცოცხლეს გაწირავს ერის კეთილდღეობისთვის.

„განა რით გადაგარჯულეს ასე, რომ საქართველოს განმათავისუფლებელ პირველ პრეზიდენტს, მისთვის თავდადებულს, მოღალატეს უწოდებ და მე მამტყუნებ მისი ერთგულებისთვის, ნამდვილ მოღალატეებსა და საქართველოს დამაქცევარ სისხლიან იუდებს კი მხარში ამოსდგომიხარო“?

ღმერთმა იცის, როგორი იმედითა და სასოებით შევყურებდი ზვიად გამსახურდიას, როცა ის ერის სამსახურში ჩადგა. ამ საქმეში წარმატების მიღწევისთვის მას ხელს უწყობდა მამის ავტორიტეტი და პირადი შემართება. ერთი შეხედვით, საქმე თითქოს კარგადაც მიდიოდა, მაგრამ შუა ბრძოლაში სხვათა თუ თავისი პირადი მიზეზებით ისე აიბნა, წალმაუკუღმა დაიწყო ხმლის ქნევა და მოღალატეთა უმეტესად საქართველოს ერთგულ და საამაყო ხალხს დაუწყო ბრძოლა. აი, რამ განაპირობა მისი დღევანდელი დღე. თუ ის არ იცი, ვინ არის შენი ქვეყნის მტერი და ვინ მოყვარე, ვის უნდა ებრძოლო და ვინ გვერდში ამოიყენო ამ ბრძოლაში, დაიღუპები.

რაც შეეხება საქართველოს განთავისუფლებას, არავინ მოგატყუოს, ზვიად გამსახურდიამ გაათავისუფლაო საქართველო. ეს განთავისუფლება ისტორიული აუცილებლობით იყო განპირობებული და პიროვნულად ზვიად გამსახურდიაზე დიდი როლი სხვებმა შეასრულეს. როგორც დედას ცხრა თვის შემდეგ აღარ შეუძლია მუცლით ატაროს ჩანასახი და აუცილებლად უნდა დაბადოს შვილი, ასევე იყო იმპერიაც მომწიფებული დასაშლელად. მომწიფება კი ჯერ კიდევ სტალინის გარდაცვალების დღიდან დაიწყო. ეს კარგად იცოდა და იცის მოაზროვნე საზოგადოებამ და ამიტომაც აითვალწუნა გამსახურდიამ ინტელიგენცია. ბნელ ადამიანებს მესიად მიაჩნდათ იგი და მოაზროვნე საზოგადოებას კი ჩვეულებრივ ადამიანად. აი, რატომ ებრძოდა ყველა მოაზროვნეს, ვინც მას არ ეპირფერებოდა. ასე რომ ტრაბახა მამლისა არ იყოს, ნურავინ დაიკვეხებს, მზე მე ამოვიყვანეო. ზვიადი რომც არ დაბადებულიყო, საქართველო მაინც უნდა განთავისუფლებულიყო. ეგ იყო, ამდენი სისხლი არ დაიღვრებოდა. შეიძლება, ასე არ სურდა, მაგრამ ასე გამოუვიდა და ეგ არის უბედურება.

დასასრულს ერთ რამეს კიდევ შეგახსენებ. ვიცი, წაკითხული გაქვს ჩემი „ლომი“, რომელიც ჯერ კიდევ ოცდახუთი წლის წინათ დაიბეჭდა. იმ მოთხრობით საბჭოთა წყობის პირობებში მე პირველმა გავაცოცხლე ლიტერატურაში ქაქუცა ჩოლოყაშვილი, როგორც ერის თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი, როგორც ეს შესაძლებელი იყო იმ პირობებში. დიდხანს იბრძოლა ქაქუცამ ერის განთავისუფლებისათვის სხვადასხვა გზებით, მაგრამ ვერაფერს გახდა და, როცა დაინახა, მის ბრძოლას სისხლისღვრის გარდა, ქვეყნისთვის სასიკეთო არაფერი მოჰქონდა, შეფიცული მეომრები შინ გაუშვა და თვითონ კი უცხოეთში გახიზვნით უშველა თავს, რაკილა შინ აღარ მიესვლებოდა, იმდენი ქართველის სისხლი დაღვარა. ისტორიამ გმირად აქცია დღეს ჩოლოყაშვილი, მაგრამ თუ ჯიუტად გააგრძელებდა ბრძოლას და საქართველოს დაღუპვის პირამდე მიიყვანდა, ალბათ მის სახელს არც ახსენებდნენ. სჯობია, დღესაც ქაქუცას სიბრძნეს მოვუხმოთ და ბოლომდე ნუღარ დავღვრით ქართველთა სისხლს, თუ გვინდა რომ ჩვენი გვარები საწყევრად არ მივცეთ შთამომავლობას, სული ისე არ უნდა დავიმძიმოთ, მარადიულ საქართველოში რომ აღარ მიგვესვლებოდეს.

ნათქვამია, აქლემები წაიკიდნენ და კოზაკები გაიჭყლიტნენო. ჩვენი საქმეც ასეა. მაგანი სავარძლისა და პირადი განდიდებისთვის იბრძვიან და მე და შენ კი ვიჭყლიტებით. არა მარტო მე და შენ, მთელი ერი. თუ ამას ვერ შევიგნებთ, დავიღუპებით.

ღმერთი იყოს შენი მფარველი.

მარად შენი ერთგული
გიორგი პაპუაშვილი.

სულისკვეთება

„მუშაობა თვისებრივად უნდა შეიცვალოს...“

ჩვენი რესპონდენტი პროფესიონალი ჟურნალისტი აკაკი სიხარულიძე — ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის (ფედერაციის) თავკაცად ერთსულოვნად აირჩია ჟურნალისტთა მე-9 (რიგგარეშე) ყრილობამ. ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენი საუბარი ყრილობით დაიწყო.

— რატომ არ შეიძლებოდა ყრილობის გადატანა უფრო მშვიდობიანი დროისათვის.

— ზოგმა იფიქრა ალბათ, რა ეყრილობებათ, ქვეყანა თავზე ვგექცევაო. თავზე რომ გვექცევა, სწორედ ამიტომ არ შეიძლებოდა გადადება. საპარლამენტო არჩევნები კარს იყო მომდგარი და ჩვენი პოზიცია უნდა გამოგვეხატა — ჩვენი მხარდაჭერა უნდა გამოგვეცხადებინა. ეს — ერთი. გარდა ამისა ველოდებოდით ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლებს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებების გასაფორმებლად. ეს კი საჭიროებდა კავშირის გამართულ ორგანიზაციულ სტრუქტურებს. ყრილობას ეს საკითხიც უნდა მოეგვარებინა.

— კავშირისათვის სახელის გადარქმევაც ასეთი გადაუდებელი ღონისძიება იყო?

— ჩვენი მუშაობა თვისებრივად უნდა შეიცვალოს. ამას ობიექტური რეალობა მოითხოვს. ამ ცვლილებებს კი ძველი სახელწოდება ნამდვილად არ შეეფერებოდა. ფედერაცია მრავალმხრივ გამართლებულია. გულისხმობს გარკვეული დამოუკიდებლობის მქონე წარმონაქმნთა ვაერთიანებას. ჩვენთან კი, როგორც იცით, შემოდის აჭარის ჟურნალისტთა კავშირი, აფხაზეთის, რომელიც ახლა კავშირის სახით არ არსებობს, მაგრამ, იმედია, მალე აღდგება. ასე რომ, ამ ორგანიზაციების გაერთიანებას, სრულიად ლოგიკურია, ფედერაცია ეწოდებოდეს. ამასთან, სასურველია ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციაში ჩვენს ორგანიზაციას სწორედ ფედერაციის სახელით იცნობდნენ. გარდა ამისა, სიტყვა „კავშირი“ — გაცვდა, „დამოუკიდებელი“-ს — ხაზგასმაც ზედმეტია. მოკლედ, მე მგონი სადავო არაფერი გაკეთებულა.

...აკაკი სიხარულიძე 34 წლისაა. ასეთი ახალგაზრდა თავკაცი ქართველ ჟურნალისტებს სამ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე არ ჰყოლია. უკვე წარსულს ჩაბარებული სტერეოტიპის მიხედვით, თანამდებობა ყველაზე ნაკლებად სწორედ მას უნდა ეკავოს, მაგრამ, როგორც ხედავთ, უკავია და, ორგანიზაციის მუშაობაში გადატრიალების მოხდენას თუ არა, სერიოზული სიახლეების შემოტანას მაინც აპირებს. ჩემს ნაფიქრს ვუზიარებ და ვეკითხები:

— კონკრეტულად როგორი იქნება ეს სიახლეები?

— უკვე განხორციელებული, ერთ-ერთი მთავარი სიახლე ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციაში ჩვენი გაწევრიანება გახლავთ, ეს, მართლაც, სერიოზული მოვლენაა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში. გეგმებს რაც შეეხება, ისინი ბევრი გვაქვს. ავიღოთ ორგანიზაციის ქონება: იგი, ყოფილი სტრუქტურებიდან გამომდინარე, პარადოქსია, მაგრამ ყველასია და ამავე დროს — არავისი. მასში გაუსაგნებელია წევრთა ქონებრივი წილი. ალბათ, უფრო სწორი იქნება, თუ თითოეული ჩვენგანი გახდება თავისი წილის კონკრეტული მესაკუთრე. ამისათვის ჩვენს საქმიანობაში უნდა დავამკვიდროთ სააქციო საზოგადოების პრინციპები. ეს ნიშნავს, რომ დადგინდება ჩვენი ქონების ღირებულება და გადანაწილება შესატყვის ფასიან ქაღალდებზე — აქციებზე, რომელთა ნაწილი უსასყიდლოდ, ხოლო ნაწილი შეღავათიან ფასებში დაურიგდებათ წევრებს. მატერიალური დაინტერესების გამო ეს პრინციპი უკვე როგორც მესაკუთრეებს გაგვიადვილებს ერთმანეთთან საქმიანი კონტაქტების დამყარებას.

სამწუხაროა, რომ ჩვენთან არ არსებობს ჟურნალისტთა დაზღვევის არანაირი ფორმა: არც სიცოცხლის, არც ჯანმრთელობის, ქონების, შემოქმედების... ამიტომ, ვფიქრობთ, აუცილებლად შეიქმნას მუდმივი სადაზღვევო სამსახური, რომელიც ჟურნალისტის დაცვის გარანტი იქნება.

საჭირო საქმედ მიგვაჩნია აგრეთვე ფედერაციის ბაზაზე კონფლიქტოლოგიის სამსახურის ჩამოყალიბება. ჩვენი პროფესიის სპეციფიკურობა ხომ ისიც არის, რომ ზოგჯერ ჟურნალისტს დაპირისპირებულ მხარეთა შორის ერთგვარი მედიატორის, გარკვეულწილად განმმუხტველის როლის შესრულებაც უხდება, მით უმეტეს, რომ რესპუბლიკაში ასეთი დაძაბული ვითარებაა და ამისგან არც მომავალში ვიქნებით დაზღვეული.

ვაპირებთ გამოვცეთ წიგნი „უკვდავება“ აფხაზეთსა და შიდა ქართლში დაღუპულ მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფად. შეძლებისდაგვარად ვცდილობთ მატერიალურად წავახალისოთ ამ რეგიონებში გაგზავნილი ჟურნალისტები, დავეხმაროთ იქიდან ჩამოსულ ლტოლვილ კოლეგებსაც.

დგას საკითხი საერთაშორისო ფედერაციასთან შეთანხმებით ამიერკავკასიის რეგიონული საინფორმაციო სამსახურის შექმნის შესახებ. მასთან ხელშეკრულებების გაფორმება საშუალებას მოგვცემს სტაჟირების მიზნით საზღვარგარეთ მივავლინოთ ჟურნალისტები და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები. მანამდე კი დადებული გვაქვს ხელშეკრულება საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული ინფორმატიკისა და ტელეკომუნიკაციის ინსტიტუტთან, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია მივიღოთ შეკვეთები ნებისმიერი ჟურნალ-გაზეთის ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნით. ამ საკითხების განხორციელება მოითხოვს ძლიერ მატერიალურ ბაზას. უკვე გვაქვს შეთანხმება თბილისის შემოგარენში არსებული ერთი მეურნეობა გადმოვიდეს ჩვენთან, როგორც დამხმარე მეურნეობა. აგრეთვე ზოგიერთი ფირმებიც, რომლებიც მოამძლავრებენ ჩვენს ბიუჯეტს. ასე რომ სამუშაო გვაქვს, მუშაობის სულისკვეთებაც საკმაოა.

— რას იტყოდით რეგიონული პრესის შესახებ?

— გადაუდებელი საკითხია მათთვის ნორმალური პირობების შექმნა, უპირველესად სტამბები რედაქციებს, სარედაქციო კოლექტივებს უნდა გადაეცეთ შესასყიდად. აქილევსის ქუსლად რჩება საგაზეთო ქაღალდი. ვფიქრობთ, შეძლებისდაგვარად ჩავერიოთ ამ და სხვა საკითხების განხორციელებაში.

— ყველა „ახალი“ ცვლილებებით იწყებს. ხშირად ეს ცვლილებები მართლაც აუცილებელია, ზოგჯერ კი — მხოლოდ თვითმიზანი. ახლა რომელ შემთხვევასთან გვაქვს საქმე?

— კავშირში 6 წლის მუშაობამ საკმაოდ ნათლად დამანახვა, რამ გაამართლა, რამ — ვერა, რა არის ფორმალური და რა — ნამდვილად საჭირო, რა დასატოვებელია და რა — გასაუქმებელი. მაგალითად, დარგობრივი სექციები მოძველდაო, — ვთქვით და მოდურობის გამო გავაუქმეთ. არადა, ერთადერთი, რაც შემოქმედებითი კუთხით მართლა სერიოზულად ეხმარებოდა ჟურნალისტს, სწორედ ამგვარი სპეციალიზაცია იყო. მე მგონია, ნამდვილად არ იქნება ზედმეტი და ახირებაში არავინ ჩამოგვართმევს, თუ ჩვენს ფედერაციაში შეიქმნება სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს ვიწრო სპეციალობის მიხედვით ჟურნალისტის კომპეტენტურობის ამაღლებას. ანდა, რატომ არ უნდა არსებობდეს ჟურნალისტთა მორალური და მატერიალური წახალისების ისეთი ფორმა, როგორიცაა კონკურსები ან პრემიები მაღალპროფესიული შემოქმედებისათვის, მოქალაქეობრივი და პროფესიული ვალის შესრულებისათვის. სწორედ ამ მიზნით დავაწესეთ ნიკო ნიკოლაძისა და სერგი მესხის სახელობის პრემიები. ვფიქრობთ, შევქმნათ ჟურნალი ან გაზეთი.

— მოგწონთ გაზეთების ასე მომრავლება? ხომ არ იმეორებენ ისინი ერთმანეთს?

— მათი სიმრავლე კარგია და მივესალმები, მაგრამ თითოეულ გაზეთს უნდა ჰქონდეს თავისი პროფილი და მიმართულება, არ დაკარგოს ჟანრები და თავისი სახე.

— როგორ წარმოგიდგენიათ ურთიერთობა ამ დიდი შემოქმედებითი კოლექტივის წევრებთან — თქვენ კოლეგებთან?

— რაც უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, მთავარი მაინც ის არის, რომ თითოეულს უპოვო გულის გასაღები. თუ ჩაწვდი მის ბუნებას, ნახევარი საქმე გაკეთებულია. ზოგმა ხელმძღვანელმა საერთოდ დაივიწყა, უზნაძის განწყობის თეორიის პატრონები რომ ვართ. სამწუხაროა...

— რა მიგაჩნიათ ადამიანის ყველაზე დიდ უარყოფით თვისებად?

— დაუნახაობა, რომელმაც შეიძლება ხელის ჩაქნევამდეც კი მიიყვანოს კაცი.

— დიდ გამარჯვებად?

— საკუთარ თავზე გამარჯვება! ბრძოლის ეს ველი ყველაზე ძნელი ასაღებია. პირადად მე ამას ყოველთვის ვერ ვახერხებ.

— რა არის თქვენი ცხოვრების დევიზი?

— ეს წესი ქრისტეს მოძღვრებიდან გამომდინარეობს: ყველას მოექეცი ისე, როგორც შენ გინდა მოგექცნენ.

ჩემს კითხვაზე, თუ გრძნობს თავს მზად ამ პასუხსაგები მოვალეობის შესასრულებლად, ჩემმა მოსაუბრემ დაბეჯითებით, სულ ერთი სიტყვით მიპასუხა — დიახ. პასუხში საკუთარი ძალების იმდენი რწმენა გამოსჭვიოდა, რომ გავიფიქრე: იქნებ ეს სწორედ ის საჭიდაო ქვაა, ყოველმა კაცმა ცხოვრებაში ერთხელ მაინც რომ უნდა ასწიოს და დაამტკიცოს, რა შეუძლია.

მაია ალუდაური.

არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ

მთელ საქართველოში და ჩვენს დედაქალაქშიც საკმაოდ აცივდა, თბილისში ტემპერატურა ღამით მინუს ერთი — პლიუს ერთ გრადუსამდე დაეცა, დღისით მხოლოდ 3-5 გრადუსია.

როდის ჩართავენ გათბობას?

ქეთინო გოგორიშვილი,

გვიპასუხებს თბილისის თბომეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილე **ემზარ ქოჩავა:**

— იმის გამო, რომ ჯერჯერობით, გაზს მეტად შეზღუდული რაოდენობით, დაბალი წნევით გვაწვდიან, არა გვაქვს საშუალება ჩავრთოთ საქვაბეები. ძალიან ვწუხვართ, რომ საავადმყოფოებს, საბავშვო ბაღებსა და ბაგებსაც კი ვერ ვაწვდით სითბოს, მაგრამ მეტი გამოსავალი არ არის. საქვაბეები მთელი დატვირთვით რომ ავამუშაოთ, მაშინ მოსახლეობის გაზქურები ვერ მიიღებს საჭირო რაოდენობის გაზს.

თბილისის ცალკეულ რაიონებს ხანგამოშვებით ვაწვდით ცხელ წყალს. შეფერხებები დროებითია და იმედია, მდგომარეობა მალე გამოსწორდება.

• • •

ქალაქის მაღაზიების დახლებიდან თითქმის გაქრა თეთრეული, არ იშოვება ქალისა და მამაკაცის საცვლები, უიმისობა კი ძალზე გვიჭირს, რაშია საქმე?

ეკატერინე ჩიტაძე.
თბილისი.

შეკითხვას უპასუხებს ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „გლდანის“ მთავარი ინჟინერი **თენგიზ გეტაშვილი.**

— ამჟამად, ისევე, როგორც ყველა საწარმოს, ჩვენც გვიჭირს, რა თქმა უნდა, ძველი დატვირთვით ვეღარ ვმუშაობთ. ნედლეულით თითქმის 80 პროცენტამდე უკრაინა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქი გვამარაგებდა. მათთან ურთიერთობა გაწყდა. ძველი დატვირთვით ვეღარ ვმუშაობთ. ამას რკინიგზის, გაზის და ელექტროენერგიის კრიზისიც დაერთო. ყოველივე ამან პროდუქციის გამოშვება 30 პროცენტით და მეტადაც შეამცირა.

მოგეხსენებათ, საწარმოო გაერთიანება „გლდანი“ უშვებს თეთრეულს, ქალისა და მამაკაცის საცვლებს, კომბინიზონებს; დღესდღეობით საწყობებში ნაწარმი საკმაოდ გვაქვს და არა მარტო თბილისს, არამედ რესპუბლიკას უზრუნველყოფს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ძველებურად ბაზა არ არეგულირებს ჩვენი ნაწარმის განაწილებას. სავაჭრო ორგანიზაციები უნდა დაინტერესდნენ და ჩვენი საწყობიდან პროდუქცია თვითონვე უნდა გაიტანონ. ასე რომ, პროდუქცია არის, საჭიროა მხოლოდ დროულად მიეწოდოს იგი მოსახლეობას.

• • •

არის თუ არა ტუბერკულიოზის მასობრივი გავრცელების საშიშროება?

თამარ კალანდაძე.

თბილისის ფთიზიო-პულმონოლოგიური კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილემ **ნანა ბესელიამ** გვიპასუხა:

— ჩვენი კლინიკისათვის შიმშილობის შედეგად ტუბერკულიოზით დაავადების გამო ჯერჯერობით არავის მოუმართავს, მაგრამ ეს არ იძლევა დამშვიდების საფუძველს. სენი, ალბათ, შეგვახსენებს თავს. საკვების დეფიციტი ხელს შეუწყობს ადამიანის ორგანიზმის დასუსტებას, ვირუსის გამოვლენას.

ამჟამად საავადმყოფოს კონტინგენტის უმრავლესობას ყოფილი პატიმრები შეადგენენ.

საავადმყოფოს მედპერსონალს ავადმყოფთათვის აუცილებელი საკვები პროდუქტების, მედიკამენტების, სარეცხი საშუალებების ნაკლებობის გამო მეტად მძიმე პირობებში უწევს მუშაობა.

ავადმყოფთაგან ბევრი სოციალურად დაუცველია.

• • •

საქართველოს საინფორმაციო საშუალებები ხშირად გვაუწყებენ ახალგაზრდა საჩხერელი მოკრივის ჯაბა ცუხიშვილის წარმატებების შესახებ. ზოგჯერ მისი გვარი მოიხსენიება, როგორც სუხიშვილი. გვაინტერესებს, რომელი ვარიანტია სწორი?

თ. დოლიძე,
თბილისი.

განმარტებისათვის მივმართეთ საჩხერის სპორტისა და ტურიზმის განყოფილების გამგეს **თამაზ ლაშხს.**

— მოგეხსენებათ, საჩხერე ძლიერ დააზარალა მიწისძვრამ, რამაც თითქმის მთლიანად მოგვისპო სპორტული ბაზები. ამას ისიც დაემატა, რომ რაიონის წამყვანი სპორტსმენები და მწვრთნელები ჩაებნენ ჯერ ეროვნულ მოძრაობაში, შემდეგ კი სამშობლოს დასაცავად მიმდინარე ბრძოლებში, სამი თვის წინ სამხედროებთან შეტაკებაში დაგვეღუპა მოკრივეთა მწვრთნელი ჯაბუკი ჭილაძე.

სწორედ ჯაბუკი ჭილაძემ აღზარდა საჩხერეში ჯაბა ცუხიშვილი, რომელიც ახლახანს საქართველოს ჩემპიონი გახდა პროფესიონალთა შორის.

სიახლენი მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფაში

ირინე ღლონტი,
საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროს სამმართველოს უფროსი.

ჩვენში პენსიონერთა და დახმარების მიმღებთა რიცხვი წლითიწლობით მატულობს და დღეისათვის მილიონ 800 ათასს აღწევს. რესპუბლიკაში შექმნილი რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გამო ზოგიერთი რაიონის მცხოვრებნი თვეობით ვერ იღებენ პენსია-დახმარებებს, რის გამოც ამის მოგვარება კვლავ რჩება ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მთავარ პრობლემად.

სამაჩაბლოდან ლტოლვილთა საპენსიო უზრუნველყოფა თითქოს ერთგვარად მოწესრიგდა და ახლა აფხაზეთიდან ლტოლვილთა გასაჭირი გახდა ჩვენი მთავარი სატკივარი, დღითი დღე მატულობს ქ. თბილისში, ქუთაისში, წყალტუბოში და ზოგიერთ სხვა ქალაქში ლტოლვილთა რიცხვი, მათ შორის ბევრი უმწეო მოხუცი, ინვალიდი და ბავშვიანი ოჯახია.

სამინისტრომ მითითება მისცა სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივ ორგანოებს მდგომარეობის სტაბილიზაციამდე აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ლტოლვილ მოქალაქეებს პენსია-დახმარებები დაუნიშნონ, ხოლო დანიშნული თანხები მისცენ ხელთ არსებული დოკუმენტების საფუძველზე დროებითი განსახლების რაიონების მიხედვით.

ყველა რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში გამოყოფილია თითო თანამშრომელი, ხოლო თბილისის რკინიგზის ვაგზალზე შექმნილ ლტოლვილთა დახმარების სპეციალურ შტაბში ყოველდღიურად მორიგეობენ სამინისტროს მუშაკები.

უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებში მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ არაერთი დადგენილება მიიღო მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის რამდენადმე გასაუმჯობესებლად. მათ შორისაა დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებით ღონისძიებათა შესახებ, რომლის შესაბამისადაც 1992 წლის 1 ნოემბრიდან საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე შრომის ანაზღაურების მინიმალური დონე (თანამდებობრივი სარგოები, განაკვეთები და სხვა) განისაზღვრა თვეში 1700 მანეთით. ამასთან შრომის ანაზღაურების მინიმალურ დონეში არ გაითვალისწინება დანამატები, წანამატები, პრემიები და სხვა წამახალისებელი გასაცემლები.

საბიუჯეტო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მინიმალური თანამდებობრივი სარგოებისა და განაკვეთების 1700 მანეთამდე გაზრდასთან დაკავშირებით მოქმედი თანამდებობრივი სარგოები და განაკვეთები 1992 წლის 1 ნოემბრიდან გაიზარდა 100 პროცენტით, ხოლო ეროვნული მეურნეობის ყველა დარგში დასაქმებულ მუშაკთა შრომის საათობრივი ანაზღაურების განაკვეთები სასწავლო მეცადინეობის ჩატარებისათვის — 50 პროცენტით.

მუშათა, მოსამსახურეთა და გადასახადით დაბეგვრის მხრივ მათთან გათანაბრებულ მოქალაქეთა ხელფასი და სხვაგვარი შემოსავალი თვეში 1700 მანეთამდე ოდენობით, რაც მიღებულია მათ ძირითად სამუშაო (სამსახურის, სწავლის) ადგილზე, არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით.

1992 წლის 1 ნოემბრიდან გაიზარდა სტუდენტთა და მოსწავლეთა სტიპენდიების ოდენობა, ამავე დროიდან დაწესებული მინიმალური ხელფასის შეფარდებით. კერძოდ, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ფრიადოსანი სტუდენტებისთვის სტიპენდია განისაზღვრა მინიმალური ხელფასის (1700 მანეთის) 80 პროცენტის ოდენობით, მხოლოდ კარგი ან მხოლოდ კარგი და ფრიადი შეფასების მქონე სტუდენტებისთვის — მინიმალური ხელფასის 75 პროცენტის, ხოლო აკადემიური წარმატების მქონე დანარჩენი სტუდენტებისთვის — 70 პროცენტის ოდენობით; შესაბამისად, სახელმწიფო საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 70,65 და 60 პროცენტის, ხოლო სახელმწიფო პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებლებში — მინიმალური ხელფასის 60, 55, 50 პროცენტის ოდენობით.

ყველა სხვა კატეგორიის სტუდენტთა და ასპირანტების სტიპენდიები 1 ნოემბრიდან გაიზარდა 100 პროცენტით.

დოქტორანტებს სახელმწიფო სტიპენდია მიეცემათ დოქტორატურაში ჩარიცხვამდე დანიშნული თანამდებობრივი სარგოს (განაკვეთის) ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობრივი განაკვეთისა (სარგოსი). ფასების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით დამატებითი ხარჯების საკომპენსაციოდ 1992 წლის 1 ნოემბრიდან 780 მანეთით მოიმატა მოხუცებულობით პენსიონერთა, I და II ჯგუფის ინვალიდთა (მათ შორის ბავშვობიდან I და II ჯგუფის ინვალიდთა), 16 წლამდე ინვალიდ ბავშვთა სოციალურმა პენსიებმა, წელთა ნამსახურობისა და პერსონალურმა პენსიებმა, მარჩენალის დაკარგვის გამო, ყველა სახის III ჯგუფის ინვალიდებისა და სოციალურმა პენსიებმა.

პენსიის მომატება ამჯერადაც შეეხო მხოლოდ არამომუშავე პენსიონერებს, ვინაიდან მომუშავე პენსიონერებს დანარჩენ მუშა-მოსამსახურეებთან ერთად ხელფასები გაეზარდათ 100 პროცენტით.

1992 წლის 1 ნოემბრიდან ბავშვიანი ოჯახებისთვის დაწესდა დახმარებების შემდეგი ოდენობანი: — ბავშვის დაბადებისას ერთდროული დახმარება გაიცემა 2000 მანეთის ოდენობით; წლინახევრამდე ბავშვის მოვლისთვის — მინიმალური ხელფასის 60 პროცენტი (1020 მანეთი); წლინახევრიდან 6 წლამდე ბავშვის მოვლისათვის — მინიმალური ხელფასის 50 პროცენტი (850 მანეთი)

ამავე ოდენობით (თვეში 850 მანეთი) დახმარება გაიცემა მარტოხელა დედებისა და ალიმენტის ურჩი გადამხდელი მშობლების ბავშვებისთვის.

სასიხარულოა, რომ მთავრობის ახალი დადგენილებით, თუმცა დღევანდელ პირობაზე — ძალზე მცირე, მაგრამ გარკვეული დახმარებები დაწესდა 6-დან 16 (სწავლის პერიოდში 18) წლამდე დაწყებითი, არასრული და საშუალო სკოლის უმაღლესი და საშუალო სპეციალურ სასწავლებლების მოსწავლეებისათვის, რომლებიც არ იღებენ სტიპენდიებს და სოციალური უზრუნველყოფის არსებული სისტემით არ იღებენ დახმარებებს, მათ ყოველთვიური დახმარება განესაზღვრათ 340 მანეთის ოდენობით.

1992 წლის 1 ნოემბრიდან ყოველთვიური დახმარება დაუწესდათ ლტოლვილის სტატუსის მქონე მოქალაქეებს და იგი განისაზღვრა 1500 მანეთით, ხოლო იმ პირებისათვის, რომლებიც სახელმწიფო კმაყოფაზე იმყოფებიან (უფასო კვება, ბინა) დახმარება დაწესდა თვეში 500 მანეთის ოდენობით.

ამავე დროიდან დაკრძალვის დახმარება განისაზღვრა 3000 მანეთის ოდენობით.

დაწესდა უმუშევრობის სტატუსის მქონე პირებზე გასაცემი შემწეობანი:

ა) უმუშევრობის პირველი სამი თვის განმავლობაში — მინიმალური ხელფასის 80 პროცენტი;

ბ). უმუშევრობის მეოთხედან მეექვსე თვის ჩათვლით — მინიმალური ხელფასის 70 პროცენტი;

გ) უმუშევრობის მეშვიდედან მეცხრე თვის ჩათვლით — მინიმალური ხელფასის 60 პროცენტი;

დ) უმუშევრობის მეათედან მეთორმეტე თვის ჩათვლით — მინიმალური ხელფასის 50 პროცენტი;

ე) უმუშევრობის სტატუსის მქონე იმ პირებისთვის, რომლებიც პირველად ეძებენ სამუშაოს (უმაღლესი ან საშუალო, საშუალო-სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულები და სხვანი), შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებულთათვის, აგრეთვე თავისუფლების აღკვეთისა და იძულებითი მკურნალობის ადგილებიდან განთავისუფლებული პირებისათვის შემწეობის ოდენობა განისაზღვრება:

უმუშევრობის სტატუსის მოქმედების პირველი ექვსი თვის განმავლობაში — მინიმალური ხელფასის 60 პროცენტის ოდენობით; დანარჩენი ექვსი თვის მანძილზე — მინიმალური ხელფასის 50 პროცენტის ოდენობით.

არასაბიუჯეტო დაწესებულებებში, საწარმოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში დასაქმებული მუშაკებისა და დიასახლისებისთვის პურის გაძვირების კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება 300 მანეთის ოდენობით.

დადგენილებით დაევალათ საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებს, კომიტეტებს, დეპარტამენტებს, უწყებებს, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს დაუყოვნებლივ გასცენ მოსამსახურეებზე, სტუდენტებზე, პენსიონერებზე და დახმარებების მიმღებ პირებზე მომატებული ხელფასები, სტიპენდიები, პენსია-დახმარებები და კომპენსაციები.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 6,5 მილიარდი მანეთით გაიზარდა.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

„ოსტანკინოს“ ხელმძღვანელობა იცვლება

რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა ვიაჩესლავ კოსტიკოვმა სამშაბათს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების მეთაურთა შეხვედრის ფარგლებში გამართული ბრიფინგის დროს განაცხადა, რომ, შესაძლოა, ტელერადიოკომპანიის „ოსტანკინოს“ დატოვება მოუწიოს ახლანდელ ხელმძღვანელს ეგორ იაკოვლევს.

კოსტიკოვის თქმით, რესპუბლიკების მეთაურთა შეხვედრაზე გამოითქვა დიდი კრიტიკა ეროვნებათაშორისი კონფლიქტების გაშუქების სფეროში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიმართ, მწვავედ გააკრიტიკეს „ოსტანკინო“. ეს საკითხი დააყენა საბჭოს სხდომაზე ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელმა ახსარბეგ გალაზოვმა. კოსტიკოვის თქმით, პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, რომელიც შეხვედრას თავმჯდომარეობდა, განაცხადა, რომ 24 ნოემბერს მოაწერს ხელს ბრძანებულებას ე. იაკოვლევის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

როგორც გუშინ რუსეთის ტელევიზიამ გადმოსცა, „ოსტანკინოს“ ხელმძღვანელი ე. იაკოვლევი უკვე გადაყენებულია თანამდებობიდან.

სენატორები მოუწოდებენ

გავლენიანმა ამერიკელმა სენატორებმა სემ ნანმა და რიჩარდ ლუგარმა პრესკონფერენციაზე მოუწოდეს არ დაუშვან პაუზა ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში რუსეთთან და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან იმ პერიოდში, როცა ვაშინგტონში ადმინისტრაცია იცვლება. ისინი ჟურნალისტებს ესაუბრნენ რუსეთში, ყაზახეთში, უკრაინაში, ბელარუსსა და ყირგიზეთში თავიანთ რვადღიანი ვიზიტის შესახებ. ნანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავისუფალი სამყაროსთვის ამჟამად „საოცარი შესაძლებლობების“ დრო დადგა. „ქვეყნები, რომლებსაც ვეწვიეთ, ცდილობენ შექმნან დემოკრატიული საზოგადოება და საბაზრო ეკონომიკა. ისინი მზად არიან აგრეთვე მოსპონ მასობრივი განადგურების იარაღი, რომ ამერიკა უნდა დაეხმაროს მათ პრობლემების გადაჭრაში“.

თითო აბზაცით

● **ოფიციალური** ტოკიოს აზრით, იაპონიაში რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის ვიზიტი უნდა გაიმართოს ტოკიოში მომავალი წლის ივლისში შვიდი წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნის ლიდერთა შორის შეხვედრამდე.

● **ფილიპინების** პრეზიდენტმა ფიდელ რამოსმა მოითხოვა ფილიპინებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი თავდაცვის ხელშეკრულების გადასინჯვა „ცივი ომის ხანის დამთავრების“ გამო.

კარიკატურისტის კომენტარი



მხატვარი ბესიკ ზუბაშვილი.

იუბილეს გილოცავთ, კოლეგებო!

კვლავაც წარმატება დაგვემგზავრეთ!

გაზეთი „თბილისი" 70 წლისაა

დღეს; გაზეთი „თბილისი" 70 წლისაა. უფრო სწორად, ზუსტად ამდენი ხნის წინათ — 1922 წლის 22 ნოემბერს გამოვიდა მისი „წინაპრის" — საქართველოს პროფკავშირების გაზეთის „მუშის" პირველი ნომერი, რომლის ბაზაზეც 1958 წელს შეიქმნა „თბილისი".

და თუმცა იგი საქალაქო გაზეთია, არასოდეს შემოფარგლულა მხოლოდ თბილისისა და თბილისელთა პრობლემებით, წარმატებებითა თუ საფიქრალ-საზრუნავით. რესპუბლიკის ცხოვრებაში არ მომხდარა არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა თუ ფაქტი, „თბილისი" ოპერატიულად რომ არ გამოხმაურებოდა და თავის ფურცლებზე არ აესახა. ეს განსაკუთრებით ბოლო წლების პერიოდზე ითქმის. ამიტომაც არის, რომ „თბილისს" თბილისელთა გარდა, დიდი ინტერესით კითხულობდნენ და კითხულობენ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, ქალაქში, რაიონსა თუ სოფელში.

ამჟამად „თბილისის" რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი, ისევე, როგორც სხვა გაზეთების ჟურნალისტებიც, სერიოზული გამოცდის წინაშე დგას.

— საბაზრო ურთიერთობები, სულ უფრო მეტად რომ მკვიდრდება ჩვენს ყოველდღიურობაში, — ამბობს გაზეთის ახალგაზრდა რედაქტორი გია ზუბაშვილი, რომელიც შარშან რედაქციის კოლექტივმა აირჩია თავის ხელმძღვანელად, — რთულ ამოცანებს გვისახავს. საჭიროა საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა-განმტკიცება, კომერციული მუშაობის გააქტიურება და, რაც მთავარია, შემოქმედებითი, წმინდა ჟურნალისტური საქმიანობის შემდგომი, დღევანდელობის მოთხოვნათა შესატყვისად გარდაქმნა-გაუმჯობესება. ეს განსაკუთრებით აუცილებელია, რადგან გაზეთი მუდამ მხოლოდ მკითხველისთვის არსებობდა და მკითხველით სულდგმულობდა. ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, თუ ჩვენი რედაქციის კოლექტივი შეძლებს ყოველდღიურად ოპერატიულად, საინტერესოდ და ობიექტურად ასახოს მოვლენები, ალბათ, არც მკითხველის მხარდაჭერა მოაკლდება. ამის შესაძლებლობა კი „თბილისელებს" ნამდვილად გვაქვს. ასე რომ, მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებთ...

იუბილეს გილოცავთ და ახალ მიღწევებს გისურვებთ, კვლავაც წარმატებები დაგემგზავრებოდეთ, „თბილისელებო!".

სურათზე: იბეჭდება „თბილისის" საიუბილეო ნომერი.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ცხონება

შოთა ჭანუყვაძე

გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო და სამეურნეო მოღვაწე შოთა ილარიონის ძე ჭანუყვაძე. იგი დაიბადა 1909 წელს, ქალაქ ოზურგეთში, სადაც შრომითი საქმიანობა დაიწყო 1925 წელს სტამბის მბეჭდავად. 1931-33 წლებში სწავლობდა თბილისის მუშფაკში სუბტროპიკული განხრით. ამასთან ერთად დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი და ახალგაზრდობიდანვე აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

შ. ჭანუყვაძეს მოღვაწეობა მოუწია რთულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ატმოსფეროში, სახელმწიფო და სამეურნეო სტრუქტურების კონსტრუქციული ცვლილებებით აღსავსე ცხოვრებაში, რაც საკვანძო საკითხების ოპერატიულად და ჭკვიანურად გადაწყვეტისათვის ასეთი მაღალი რანგის მუშაკისაგან, ცხადია, საკურატორო დარგების სპეციფიკის ზედმიწევნით ცოდნასა და დიდ ადამიანურ თვისებებს მოითხოვდა.

ასეთ ურთულეს ვითარებაში ბატონი შოთა მთელ თავის ძალისხმევას ახმარდა იმას, რომ სათანადოდ უზრუნველეყო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა და გადამამუშავებელი მრეწველობა, რათა მის მშობელ ხალხს, სათაყვანებელ ერს, საქართველოს მთელ მოსახლეობას, შეძლებისდაგვარად შექმნოდა სახელმწიფოს განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პირობები.

როგორც დღეს უკვე ყველასათვის ცნობილია, ეს იყო წინააღმდეგობებით აღსავსე დრო, არავინ იყო დაზღვეული შეცდომებისაგან, მაგრამ მაშინაც, თუ ვინმეს შეეძლო სწორი გადაწყვეტილების მიღება, ამ ადამიანთა შორის ერთ-ერთი უპირველესი ბატონი შოთა იყო. იგი წლების განმავლობაში წამყვან თანამდებობებზე, ხელმძღვანელობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შემდგომში — დამზადების სამინისტროს. რა პოსტზეც უნდა ყოფილიყო, რა პასუხსაგები მოვალეობაც უნდა დაეკისრებინათ მისთვის, ყველგან და ყოველთვის, თავისი მომადლებული ნიჭით, შეგნებითა და მრწამსით ემსახურებოდა ერს, იღვწოდა მისი კეთილდღეობისათვის.

ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებლის, ჭეშმარიტი პატრიოტის, მამულიშვილის, უაღრესად კოლორიტული და ადამიანობით გამორჩეული კაცის ბატონ შოთა ჭანუყვაძის სახე და სახელი მუდამ დარჩება იმათ ხსოვნაში, ვისაც მისი სიკეთე ახსოვს, ვინც მასთან მეგობრობდა და თანამშრომლობდა.

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო,
პურპროდუქტების მრეწველობის რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანება.

სადღეისო შეკითხვა

ჭია-ჭია, მაპოვნინე...

ვინ მიაწვდის პოლიციას ბენზინს?

მკითხველებს შევახსენებთ, რომ სწორედ ამ შეკითხვით მთავრდებოდა ჩვენი ახალი რუბრიკის პირველი პუბლიკაცია. ეს შეკითხვა იმასთან დაკავშირებით გაჩნდა, რომ თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა, პოლკოვნიკმა დავით ზეიკიძემ დაიჩივლა, მანქანების გამტაცებელ ქურდებს უბენზინობის გამო ვერა ვდევთო.

მცირე ჟურნალისტური გამოძიება: სამიოდე დღის უკან ტელერადიო-დეპარტამენტის წინ შეიარაღებულმა (რასაკვირველია, დაუდგენელმა) პირებმა გააჩერეს ბენზინმზიდი, რომელსაც თბილისის მერიის მიერ პურის ქარხნებისა და მაღაზიების მომსახურე მანქანებისთვის დიდი გაჭირვებით ნაშოვნი 7 ტონა ბენზინი მოჰქონდა. გააჩერეს, აიყვანეს ლისის ტბაზე, გადმოსვეს მძღოლი და მას შემდეგ არც ბენზინი, არც ბენზინმზიდი არავის უნახავს.

აი, ამ ბენზინს თუ იპოვიან, ალბათ, პატრონი უწილადებს ცოტას.

მაგრამ ვინ იპოვის გატაცებულ ბენზინს?

ქართველ მწერალთა და ლიტერატურათმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის წევრთა საერთო კრება

გაიმართა ქართველ მწერალთა და ლიტერატურათმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის საერთო კრება.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა მხცოვანმა ლიტერატურათმცოდნემ, პროფესორმა ალექსანდრე ღლონტმა. კავშირის მიზნებისა და ამოცანების თაობაზე საინიციატივო ჯგუფის სახელით მოხსენება გააკეთა ხუტა ბერულავამ.

დამოუკიდებელი კავშირისა და გაზეთ „სიტყვა ქართულის" დებულებები დამსწრეთ გააცნეს ჟურნალ „ლაშარის" მთავარმა რედაქტორმა თეიმურაზ დოიაშვილმა და გაზეთ „მშობლიური კერის" მთავარმა რედაქტორმა ლევან ბრეგაძემ.

სიტყვები წარმოთქვეს მწერლებმა მერაბ ელიოზიშვილმა, ოთარ შალამბერიძემ, დილარ ივარდავამ, სულხან ქეთელაურმა, ელიზბარ უბილავამ, ქიშვარდ ისაკაძემ, ნაზი ქედიამ, კოტე მელაშვილმა, შოთა ლომსაძემ, გიორგი გიგაურმა, მიხეილ ჩაჩუამ, ნიკო ანდრონიკაშვილმა...

კრების მონაწილეებმა დაამტკიცეს წარმოდგენილი დებულებები და ლიტერატურული ორგანიზაციის სტრუქტურა.

კრებამ ფარული კენჭისყრით ქართველ მწერალთა და ლიტერატურათმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის თავმჯდომარედ აირჩია ხუტა ბერულავა, მდივნებად — გიორგი გიგაური და შოთა ლომსაძე.

დამოუკიდებელი კავშირის ლიტფონდის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია მერაბ ელიოზიშვილი, ლიტფონდის დირექტორად — ქიშვარდ ისაკაძე, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — ოთარ დემეტრაშვილი.

თუ გინდათ,
რომ ცხოვრებას
არ ჩამორჩეთ
და ყველაფერი იცოდეთ,
რაც დედამიწის
ზურგზე ხდება,
გამოიწერეთ ყველაზე
იაფი ყოველდღიური
ქართული გაზეთი

საქართველოს რესპუბლიკა



იჩქარეთ!

არ დაგვაგვიანდეთ, ხელმოწერის დამთავრებამდე სულ რამდენიმე დღე დარჩა!

სწავლა სიბერემდისო

მინისტრთა კაბინეტის სოციალური მართვის ცენტრის მუნიციპალური მმართველობის მუშაკთა სკოლის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს ადგილობრივი მმართველობის მუშაკთა რესპუბლიკური სკოლა. ვესაუბრებით ამ სკოლის რექტორს, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატს, იურისტ — სახელმწიფომცოდნე შალვა პაპიძეს.

მომავლის იმედით

— **სკოლა** სასწავლო საკონსულტაციო-მეთოდიკური დაწესებულებაა, რომელიც, საქართველოს რესპუბლიკის წინაშე მდგარი თანამედროვე ამოცანებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, დეპუტატების, სხვადასხვა დონის სტრუქტურების ყველა კატეგორიის მუშაკის მომზადებას, გადამზადებას, პროფესიონალიზმის დახვეწას, მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მოწოდებას და სათანადო საკონსულტაციო-მეთოდიკურ დახმარებას.

— როგორი იქნება სწავლების ორგანიზაცია?

— საწყის ეტაპზე (ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მომავალ არჩევნებამდე) სკოლა რაიონებში ჩაატარებს ადგილობრივი მმართველობის მუშაკთათვის სწავლების კურსებს, სემინარებს, მათ საქმიან შეხვედრებს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების, მთავრობის, სამინისტროების, დეპარტამენტებისა და უწყებების ხელმძღვანელობის წარმომადგენლებთან, აგრეთვე მეცნიერულ-პრაქტიკულ კონფერენციებს სათანადო რეკომენდაციების გამომუშავებით.

სკოლის პროფესორ-მასწავლებელთა და შესაბამის სპეციალისტთა მეცნიერული და პრაქტიკული პოტენციალი ფართოდ იქნება გამოყენებული რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სხვადასხვა დონის რგოლების საქმიანობის შესწავლაში და მეცნიერულად დასაბუთებული (მათ შორის ამ დარგში საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით) კონკრეტული წინადადების შემუშავებაში, რაც რეალურ დახმარებას აღმოუჩენს გამგეობებს მომავალი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების არჩევნების მომზადებასთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით და ორგანიზაციულ მუშაობაში და საერთოდ დემოკრატიული სტრუქტურების, ჭეშმარიტი დემოკრატიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. განსაკუთრებით კანონის უზენაესობის დამკვიდრების თვალსაზრისით.

ამ მხრივ ჩვენ უკვე შემუშავებული გვაქვს საზოგადოებრივ-ტერიტორიული თვითმმართველობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი.

სკოლის მეცნიერები მუშაობენ ადგილობრივი მმართველობის კონცეფციის ჩამოყალიბებაზე, რომლის ერთ-ერთი მთავარი აზრია ამ ორგანოების საქმიანობისა და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების უშუალოდ ადგილებზე გადაწყვეტის სპექტრის გაფართოება.

— ბატონო შალვა, როგორ იქნება ამ მხრივ მეთოდიკური ლიტერატურის საქმე?

— მეცნიერული და სასწავლო-მეთოდიკური ლიტერატურის გამოცემის ორგანიზაცია, ავტორთა კოლექტივების შერჩევა, გამოსაცემად სათანადო საინფორმაციო და სხვა მასალის მომზადება — აი, ეს იქნება ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება. მთელი ამ შრომის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მოხდეს ყველა ადგილობრივი სამეურნეო-ეკონომიკური თუ სოციალურ-კულტურული საკითხის მაღალ პროფესიონალურ დონეზე გადაწყვეტა. ნებისმიერი მოქალაქე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ადგილობრივ მმართველობაში დაიცავენ მის მოქალაქეობრივ უფლებებს, არ დაუშვებენ ბიუროკრატიზმის მცირე გამოვლინებასაც კი.

— თქვენ ახსენეთ სკოლის პროფესორ-მასწავლებლები...

— მოგახსენებთ. შერჩეულია გამოცდილი ლექტორები — საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის, მთავრობის, სამინისტროებისა და უწყებების, თბილისის მერიის მუშაკები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის, ფსიქოლოგიის, თბილისის ჰუმანიტარული და მეცნიერებათა აკადემიის სხვა ინსტიტუტების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წამყვანი სპეციალისტები და პროფესორ-მასწავლებლები.

— ბატონო შალვა, პრაქტიკულად დღეისათვის რა ნაბიჯები გაქვთ გადადგმული?

— ჩვენი სკოლის საორგანიზაციო ჯგუფის წარმომადგენლებს უშუალოდ ადგილებზე შეხვედრები ჰქონდათ რესპუბლიკის ადგილობრივი მმართველობის ხელმძღვანელებთან, რომლებმაც პრინციპულად მოგვთხოვეს გადაუდებლად დაიწყოს ამ ორგანოთა მუშაკების სწავლა-გადამზადება დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისად. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ აზრს მთლიანად იზიარებს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა. ამასთან დავძენ, რომ სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელია რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, რაც საშუალებას გვაძლევს გადავლახოთ ჩვენს წინაშე მდგარი მთელი რიგი პრობლემები. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გვაქვს ისეთი მეცნიერული დისციპლინების სწავლება, როგორიცაა სამართალმცოდნეობა, მეურნეობის მართვის ორგანიზაცია, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თავისებურებანი, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, ადამიანთმცოდნეობის, ფსიქოლოგიისა და თეოლოგიის ძირითადი საფუძვლები.

ვიმედოვნებთ, რომ რესპუბლიკური სკოლა მნიშვნელოვნად დაეხმარება ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს ჭეშმარიტი დემოკრატიული სტრუქტურების ჩამოყალიბებასა და კანონიერების განმტკიცებაში.

სასწავლო პროცესს ადგილებზე დავიწყებთ მიმდინარე წლის დეკემბრიდან.

ესაუბრა
მარატ ღვალაძე.

ინფორმაცია

მოკლე-მოკლედ

ყველგან ასე რომ „ვყოჩაღობდეთ"

25 ნოემბრის მონაცემებით რესპუბლიკაში სისხლის სამართლის დანაშაულმა იმატა. თუ წინა დღეს, 24 ნოემბერს სისხლის სამართლის სამძებროს ხაზით დაფიქსირებული იყო 22 ფაქტი, ამჯერად 31-მდე გაიზარდა. სამი მკვლელობაა, სხეულის დაზიანება — ორი, სახელმწიფო ქონების ქურდობა — 6, პირადი ქონებისა — 14, გატაცებულია ორი ავტომანქანა. ავარია მოხდა მხოლოდ ერთხელ და, მადლობა ღმერთს, არავინ დაღუპულა. საქართველოს ტელევიზიის ერთი რუბრიკისა არ იყოს — გიხაროდენ!

31 ფიქსირებული დანაშაულიდან გახსნილია 11.

ლტოლვილთა დახმარება შეჩერდება

სათნოების სახლის დირექტორმა ზაურ ალადაშვილმა „იბერიას" კორესპონდენტის კითხვაზე, თუ როგორ ეხმარება სათნოების სახლი აფხაზეთიდან ჩამოსულ ხიზნებს, უპასუხა: ლტოლვილების დახმარება, ფაქტობრივად, შეწყვეტილია, რადგან არ ფუნქციონირებს გარდერობი და რაიონებიდან აღარ იღებენ პროდუქტებს. ლტოლვილებს მხოლოდ ფულად დახმარებას უწევენ და ისიც, მხოლოდ ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის. ბოლო მონაცემებით, სათნოების სახლის განკარგულებაში არსებული სახსრებით აფხაზეთიდან ლტოლვილ 2470 ოჯახს გაეწია მატერიალური დახმარება.

მინის ახალი „სამოსი"

რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის" მანგანუმის ელექტროლიზური დიოქსიდის წარმოების ნარჩენები ტარის მინის კაზმის ახალი რეცეპტის შესაქმნელად გამოიყენეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერებმა. ამის წყალობით დაჩქარდა მინის ხარშვის პროცესი, გაიზარდა ბოთლების თერმომედეგობა. აგრეთვე შეძლეს შეეცვალათ ტარის მინის სტანდარტული ფერი უფრო ორიგინალური მეწამულისფერით. ასე რომ, სახელგანთქმულ მინერალურ წყალს „ბორჯომს", სამარკო ქართულ კონიაკებსა და ღვინოებს მიეცათ შანსი შეიძინონ უფრო მოდური „სამოსი", რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია თავისუფალი ბაზრის პირობებში.

კურნავს... დანადგარი

თბილისის შრომის დაცვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შექმნეს ახალი დანადგარი, რომელიც ხელს უწყობს მძიმე პროფესიული სენის — ვიბრაციული დაავადების პროფილაქტიკასა და მკურნალობას. მისი კონსტრუქცია საშუალებას იძლევა მკურნალობა განხორციელდეს ხელის მტევნებზე სპეციალური ზემოქმედებით, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას.

სიახლე დააინტერესებს სამთომომპოვებელი, მანქანათმშენებელი, ჩარხსაშენებელი და მრეწველობის სხვა დარგების მუშაკებს.

უკვდავვყოთ მათი სახელები

გიორგობა დღეს რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში შედგა სრულიად საქართველოს საზოგადოება „ხსოვნის" დამფუძნებელი ყრილობა. მისი მიზანია საქართველოს შეიარაღებულ ძალებსა და მთელ საზოგადოებასთან ერთად უკვდავყოს სამშობლოსათვის დაღუპულ მამულიშვილთა ხსოვნა.

გადაწყდა, გამოიცეს წიგნი, რომელიც ხალხს გააცნობს საქართველოსათვის დაღუპულთა ვინაობას.

ყრილობაზე დაამტკიცეს საზოგადოების წესდება, ემბლემა. „ხსოვნის" პრეზიდენტად აირჩიეს ბატონი გიორგი სიხარულიძე, ვიცე პრეზიდენტებად — ენზარ მელაშვილი და თენგიზ მესტვირიშვილი. ასევე არჩეულ იქნა საზოგადოების გამგეობა, სარევიზიო კომისია და პრეზიდიუმი.

განცხადება

გერმანიის სასწავლო გაცვლის აკადემიური სამსახურის (ДААД) წინადადებით საქართველოს განათლების სამინისტრო, გერმანიის საელჩო საქართველოში და ДААД-ი ერთობლივად აწყობს რესპუბლიკურ კონკურსს ДААД-ის მიერ გამოყოფილ სტიპენდიათა მოსაპოვებლად.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ნებისმიერი სპეციალობის (გარდა სამედიცინოსი) მქონე პირებს 32 წლამდე, რომლებსაც აქვთ სათანადო აკადემიური მომზადების დონე და სრულფასოვნად ფლობენ გერმანულ ენას.

1. კონკურსი ჩატარდება დიფერენციალურად, სტიპენდიათა სახეობების მიხედვით. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული დიპლომირებული სპეციალისტები 1 წლის ვადით — 6 ადგილი.
2. გერმანული ენის სპეციალისტები, რომლებიც ეწევიან სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებში ან მე-III კურსის გერმანული ენის ფაკულტეტის სტუდენტები 6 თვის ვადით (ერთი სემესტრი) — 2 ადგილი.
3. სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები, რომლებიც ეწევიან სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და აქვთ პირდაპირი სამეცნიერო კონტაქტები გერმანიაში თავიანთ კოლეგებთან, 2 თვის ვადით — 3 ადგილი.
4. მე-5 კურსის წარჩინებული სტუდენტები და უმაღლესი განათლების დიპლომის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ სურვილი აიმაღლონ კვალიფიკაცია გერმანულ ენაში ერთთვიან საზაფხულო ენობრივ კურსებზე — 3 ადგილი.
5. მე-4 და მე-5 კურსების წარჩინებულ სტუდენტებს სატყეო და სოფლის მეურნეობის სპეციალობებით, ექნებათ შესაძლებლობა გაიარონ პრაქტიკა შესაბამის დაწესებულებებში.
6. ორ-სამკვირიანი მივლინება გერმანიაში გაცნობის მიზნით.

მგზავრობის ღირებულებას სწავლების ადგილამდე და უკან ანაზღაურებს წამსვლელი პირი.

მსურველთათვის „დაადის" წარმომადგენლები ჩაატარებენ კონსულტაციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის V კორპუსში და თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში 27 და 28 ნოემბერს დილის 11 საათიდან.

გერმანულ ენაში გამოცდა მოეწყობა 30 ნოემბერს დილის 10 საათზე განათლების სამინისტროში. მისამართი: ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 52.

განათლების სამინისტროს პრესცენტრი.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის

განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური უფლებამოსილია განაცხადოს, რომ უკანასკნელ ხანს ადგილი აქვს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის შეიარაღებული ძალების ოფიცრების, მუშა-მოსამსახურეთა, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთათვის განკუთვნილ საცხოვრებელ ბინებში უცხო პირთა შეჭრას.

ეს პირები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ უკანონოდ დაკავებული საცხოვრებელი ბინები, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ გატარდება კანონით გათვალისწინებული ზომები.

კვლავ მდევრის როლში

უნგრეთის ქალაქ დებრეცენში გაიმართა ჭადრაკში ევროპის გუნდური ჩემპიონატის მეხუთე ტური.

საქართველოს ქალთა ნაკრებმა ვერ შეძლო ჩეხეთ-სლოვაკელთა დამარცხება — 1:1, რამაც საშუალება მისცა უკრაინელებს 8,5 ქულით დაებრუნებინათ ლიდერობა. ჩვენს მოჭადრაკეებს 1 ქულით ნაკლები აქვთ.

ჩვენმა ვაჟებმა ფრედ — 2:2 ითამაშეს შვედებთან და 11 ქულით მე-15 ადგილზე არიან.

„ვითა" აგრძელებს დაუმარცხებელ სერიას

კალათბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი ტურის მესამე დღის გამართული მატჩების უმეტესობამ დაძაბულ ბრძოლებში ჩაიარა, რაზეც შედეგებიც მეტყველებს.

თბილისის „დინამომ" ცენტრალურ შეხვედრაში „მერანთან" მეორე დამარცხება იწვნია 91:94.

პირველი გამარჯვება მოიპოვეს სოხუმელებმა, რომლებმაც დამატებით დროში დაჯაბნეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა წინააღმდეგობა — 94:92 (ძირითადი დრო დამთავრდა ანგარიშით 85:85).

„მართვეს" ჭაბუკებმა მეოთხე ქულა ჩაიწერეს სატურნირო ცხრილში „სამტრედიის" დამარცხების შემდეგ — 94:87. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა სძლია „შევარდენს" — 70-66. კიდევ ერთ თამაში მოიგო დამაჯერებლად „ვითამ", ამჯერად ქუთაისის „რიონთან" — 113:78.

ორი „ოქრო", ერთი „ვერცხლი"

რუსთაველმა ვე[illegible]მა ვალერი პაპკიაურმა ([illegible]ვე") მოიპოვა ხაზზე [illegible] რბოლაში საქართველოს [illegible] გათამაშების ორი უმაღლ[illegible] ერთი ვერცხლის ჯი[illegible] ასპარეზობაში, რომელიც თბილისში გაიმართა, მონაწილეობდა 10 გუნდის ოთხმოცამდე სპორტსმენი.

პაპკიაური უძლიერესი იყო ინდივიდუალურ რბოლაში 15 კილომეტრზე, რბოლა-კრიტერიუმში 12 წრეზე 50 კილომეტრი და 80 მეტრი საერთო დისტანციით, და მეორე ადგილზე გავიდა ინდივიდუალურ რბოლაში 10 კილომეტრზე. პროგრამის ამ სახეობაში კი გაიმარჯვა თბილისელმა ოკაკი ზამბახიძემ („შევარდენი").

„გოლიათმა" ყველა დაჯაბნა

თბილისში დასრულდა ქვეყნის პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში სპორტულ კლუბებს შორის. ეს ასპარეზობა გახდა ერთ-ერთი ეტაპი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრების შერჩევისა ევროპის პირველობისათვის მზადების პერიოდში. კონტინენტის ჩემპიონატი გაისად ივლისში გაიმართება ავსტრიაში. 8 კლუბს შორის უძლიერესი იყო თბილისის „გოლიათი", მეორე ადგილზე გავიდა ოზურგეთის „ფალავანი", ხოლო მესამეზე — თბილისის „აისი".

პირად ჩათვლაში უმაღლესი ჯილდოები მოიპოვეს „გოლიათის" წარმომადგენლებმა კობა კიკაძემ, გიორგი მაზმიშვილმა, გიორგი ფრიწუაშვილმა და მურიან გიორგაძემ, „ფალავანის" გუნდის წევრებმა კობა ბალავინოვმა და ბესარიონ ზურაბიანმა, [illegible]ვე ბექურ ბუკიამ (ხობის „ლოტოსი"), თედო კუპატაძემ (თბილისის „უძლეველი"), ლაშა გაფრინდაშვილმა (თბილისის „აისი") და ალექსი კირაკოსიანმა (თბილისის „შევარდენი").

ევროპის სტადიონებზე

დაიწყო ევროპის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირი და უეფას თასის გათამაშების მერვედფინალური ეტაპი.

პირველი რაუნდის საფეხბურთო სპექტაკლებს ასეთი ეპილოგი მოჰყვა:

ჩემპიონთა ლიგა. „ა" ჯგუფი. შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსი" — საფრანგეთის „მარსელი" — 2:2. ბელგიის „ბრიუგე" მოსკოვის ცსკა — 1:0. „ბ" ჯგუფი. იტალიის „მილანი"-შვედეთის „გეტებორგი" — 4:0, პორტუგალიის „პორტო"-ჰოლანდიის „ეინდჰოვენი" — 2:2.

უეფას თასი. ჰოლანდიის „აიაქსი"-გერმანიის „კაიზერსლაუტერნი" — 2:0, ბელგიის „სტანდარდი"-საფრანგეთის „ოსერი" — 2:2, დორტმუნდის „ბორუსია" — სარაგოსის „რეალი" — 3:1, საფრანგეთის „პარი სენ-ჟერმენი" — ბელგიის „ანდერლეხტი" — 0:0, იტალიის „რომა" — თურქეთის „გალათასარაი" — 3:1, მოსკოვის „დინამო" — პორტუგალიის „ბენფიკა" — 2:2, ჩეხეთ-სლოვაკეთის „სიგმა" — იტალიის „იუვენტუსი" — 1:2. ჰოლანდიის „ვიტესისა" და მადრიდის „რეალის" მატჩი გუშინ გვიან ღამით დასრულდა.

რადიო „თავისუფლება" (მიუნხენიდან)

GOULNARA K. OURATADZE
Director
Georgian Service
Radio Liberty
RADIO FREE EUROPE
RADIO LIBERTY
RFE/RL, INCORPORATED
OETTINGENSTR. 67 AM ENGLISCHEN GARTEN
8000 MUNICH 22, WEST GERMANY
TELEPHONE (089) 2102-2268
TELEFAX (089) 2285188
TELEX 523228/523904

ჩვენი გადაცემების მოსმენა შეიძლება ყოველდღე, თბილისის დროით, 19-დან 20 საათამდე: 19 და 25 მეტრის ტალღებზე, ანუ 15170, 15840, 11825 და 11875 კილოჰერცის დიაპაზონში;

21-დან 22 საათამდე: 25, 31 და 41 მეტრის ტალღებზე, ანუ 11875, 9540, 9595 და 7255 კილოჰერცის დიაპაზონში;

და დილის 6 ს. და 30 წუთიდან 7 ს. და 00 წუთამდე: 25, 31 და 41 მეტრის ტალღებზე, ანუ 11725, 11875, 9595, 9660 და 7180 კილოჰერცის დიაპაზონში.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, გ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

ინდექსი 66484

X1